ყველა ქვეყნის პროლეტარებო, შეერთდით!

# კომუნისტი

საქ. კ. პ. (ბ) ცენტრალური კომიტეტის, თბილისის კომიტეტისა და საქართველოს სსრ მშრომელთა დეპუტატების საბჭოების ორგანო

№ 204 (5305) | ორშაბათი, 5 სექტემბერი 1938 წ. | ფასი 10 კაპ.

დღეს გაზეთში:

მისალმებანი ამხანაგებს სტალინს, მოლოტოვს, კალინინს, ვოროშილოვს, კაგანოვიჩს, მიქოიანს, ეჟოვს (1-ლი გვ.)
პროფკავშირების სრულიად-საკავშირო ცენტრალური საბჭოს VII პლენუმი (1-ლი გვ.)
პროფესიული კავშირების სრულიად-საკავშირო ცენტრალური საბჭოს მდივნის ამხ. ნ. მ. შვერნიკის მოხსენება (1-ლი გვ.)
ნ. ციციბი — საქართველოს საშენ მასალათა მრეწველობა 1938 წ. პირველ ნახევარში (მე-2 გვ.)
[illegible] (მე-3 გვ.)
პარტიული ცხოვრება (მე-3 გვ.)
[illegible] (მე-3 გვ.)
უცხოეთი:
[illegible] (მე-4 გვ.)
[illegible] შესახებ (მე-4 გვ.)
ესპანეთის ფრონტებზე (მე-4 გვ.)
საომარი მოქმედება ჩინეთში (მე-4 გვ.)

# პროფკავშირის სრულიად-საკავშირო ცენტრალური საბჭოს VII პლენუმი

ყინულმჭრელ „ერმაკიდან" 1938 წ. 2/IX

მოსკოვი, კრემლი

## ამხანაგ სტალინს

**ძვირფასო იოსებ ბესარიონის-ძევ!**

ყინულმჭრელ „ერმაკის" ეკიპაჟი ბედნიერია გიპატაკოთ თქვენ, რომ მან შეასრულა მთავრობის 1938 წლის დავალება. არქტიკის ყინულებში ოთხი თვის მუშაობის განმავლობაში „ერმაკმა" ყინულოვან ბორკილებს გამოჰგლიჯა და ჩვენს ქვეყანას დაუბრუნა 17 გემი, რომელთა უმეტესობაც უკვე შეუდგა მუშაობას.

დღეს ჩვენ განსაკუთრებით სასიხარულო დღე გვაქვს. ჩვენ დავამთავრეთ მიმდინარე წლის ყველაზე რთული და პასუხსაგები ოპერაცია — გამოვიყვანეთ ყინულებს აქეთ ყინულმჭრელი გემები „მალიგინი" და „სადკო", რომლებიც მრავალი თვის განმავლობაში დრეიფობდნენ ცენტრალური პოლარული ბასეინის მაღალ განედებში.

ჩვენი მშობლიური კომუნისტური პარტიისა და თქვენს მიერ აღფრთოვანებულებმა, ამხანაგო სტალინ, ჩვენ ყინულმჭრელი გავიყვანეთ 83 პარალელს იქით და ამით დავამყარეთ მაღალ განედებში თავისუფალი ცურვის მსოფლიო რეკორდი. გავიარეთ რა 300 მილით უფრო ჩრდილოეთით, ვიდრე ყველა იმ გემებმა, რომლებიც წინათ სცურავდნენ ამ რაიონში. ჩრდილოეთის საზღვაო გზის ათვისებით ჩვენ ვასრულებთ მშვიდობიანი მშენებლობის ამოცანას. მაგრამ თუ მტერი გაბედავს თავს დაესხას ჩვენს წმინდათა-წმინდა სამშობლოს, ჩვენ, საბჭოთა მეზღვაურები, ყოველ წუთს მზად ვართ იქით მივაბრუნოთ ჩვენი გემები, საითაც ჩვენი ქვეყანა მოითხოვს, და გამანადგურებელი ლახვარი ჩავცეთ ფაშისტ მტაცებლებს.

სიხარულით გატყობინებთ თქვენ, რომ ყინულებიდან გამოყვანილია უკანასკნელი მოდრეიფე ქარავნის გემები. მზად ვართ შევასრულოთ ყოველი თქვენი დავალება ჩვენი დიადი სამშობლოს გულისათვის.

**შეველიოვი.**
ყინულმჭრელ „ერმაკის" კაპიტანი **სოროკინი.**
თანაშემწე პოლიტნაწილში **დიაკოვი.**
გემკომის თავმჯდომარე **ოვჩინიკოვი.**

ყინულმჭრელ „ერმაკიდან" 1938 წ. 2/IX

მოსკოვი, კრემლი

## ამხანაგებს სტალინს, მოლოტოვს, კალინინს, ვოროშილოვს, კაგანოვიჩს, მიქოიანს, ეჟოვს

2 სექტემბერს ყინულმჭრელი გემები „სადკო" და „მალიგინი", რომლებიც 83 გრადუსისა და 0,5 წუთის პარალელზე იმყოფებოდნენ, გამოყვანილი არიან სუფთა წყალში. „სედოვი" დატოვებულია დრეიფის განსაგრძობად, იგი გადაქცეულია მოდრეიფე სადგურად. იქ არის 15 კაცი, რომელნიც მომარაგებული არიან ყველაფრით, რაც კი საჭიროა სამეცნიერო მუშაობის საწარმოებლად.

1937 წელს დაზამთრებული ყველა გემის გამოყვანის ოპერაცია დამთავრებულია. ყველა გემი, რომელიც წელს არქტიკაში სცურავდა, მიყვანილია დანიშნულების ნავსადგურებში.

ვამაყობთ, რომ გავამართლეთ თქვენი ნდობა.

„ერმაკის" კოლექტივი გარწმუნებთ თქვენ, რომ იგი მზად არის შეასრულოს პარტიისა და მთავრობის ყოველივე დავალება.

გამოყვანის შტაბი **შეველიოვი, ალექსეევი**
„ერმაკის" კაპიტანი **სოროკინი.**
„ერმაკის" კაპიტანის თანაშემწე პოლიტნაწილში **დიაკოვი**

ყინულმჭრელ „ერმაკიდან" 1938 წ. 2/IX

მოსკოვი, კრემლი

## ამხანაგ სტალინს

**ძვირფასო იოსებ ბესარიონის-ძევ!**

ჩვენ, გემების „სადკოს", „მალიგინის", „ლიტკეს" და „მოსსოვეტის" მეზღვაურები, ულრმეს მადლობას მოგახსენებთ თქვენ იმ ზრუნვისათვის, რომელიც ჩვენდამი გამოიჩინეთ.

დიდ მიწა-წყალს მოწყვეტილთ, შორეულ არქტიკაში მოზამთრე გემებზე მყოფთ, ჩვენ ერთ წუთსაც არ გვიგრძნია, რომ მოწყვეტილი ვიყავით სამშობლოს, ჩვენ ვცხოვრობდით ჩვენი სამშობლოს ინტერესებით. ჩვენ დარწმუნებული ვიყავით, რომ პარტია და მთავრობა პირველი შესაძლებლობისთანავე მიიღებენ ყველა ზომებს იმისათვის, რომ გვიხსნან ჩვენ ყინულთა ტყვეობიდან. ჩვენი ქვეყნის მიერ გამოგზავნილმა ყინულმჭრელმა „ერმაკმა" და მისმა ეკიპაჟმა, რომლებიც თავგანწირვით ებრძოდნენ მძაფრ ყინულებს, გამოიკაფეს გზა ჩვენსკენ და სუფთა წყალში გამოიყვანეს ჩვენი გემები.

ჩვენი გემები უკვე შეუდგნენ მუშაობას. და თქვენს ზრუნვას, ჩვენი ქვეყნის ზრუნვას ჩვენ ვუპასუხებთ სტახანოვური მუშაობით, რათა შევასრულოთ თქვენი დავალება ჩრდილოეთის საზღვაო გზის ათვისების შესახებ.

მიტინგის დავალებით

„ლიტკეს" კაპიტანი **ხლებნიკოვი,** კაპიტანის თანაშემწე პოლიტნაწილში **ფედოროვი.**
„სადკოს" კაპიტანი **ხრომცოვი,** პარტორგი **შახნოვი.**
„მალიგინის" კაპიტანი **კარელსკი,** პარტორგი **შახნოვი**
„მოსსოვეტის" კაპიტანი **ბოჩეკი,** პარტორგი **გრიგორიევი**

## ყინულმჭრელ „ი. სტალინის" რეისი

ყინულმჭრელი „იოსებ სტალინი", 3 სექტემბერი (საკ-დესის სპეცკორესპონდენტისაგან). დღეს დილით მურმანსკის ნავსადგურში შევიდა ყინულმჭრელი „იოსებ სტალინი", რომელმაც წარმატებით ჩაატარა სერიოზული გამოცდა გზის პირველ ეტაპზე ლენინგრადიდან იმიერპოლარეთში.

ყინულმჭრელი ტრიუმში შეიცავს 1.200 ტონა ქვანახშირს და სურსათ-სანოვაგის ორი წლის მარაგს, რის შემდეგ იგი განაგრძობს გზას აღმოსავლეთისაკენ. მეტეოროლოგიური პირობები გვიკარნახებენ, თუ რომელი სრუტეთი შეიძლება კარის ზღვაში შესვლა. კუნძულ დიქსონისაკენ გავლის შემდეგ გემი ვილკიცკის სრუტით მოხვდება ლაპტევების ზღვაში, სადაც მას შეუხვდება მუშაობა გემების გაყვანაზე. ყინულების დაზვერვით საგრძნობ დახმარებას აღმოგვიჩენენ ჩვენი შემდგომი გზის გამორკვევაში ყინულმჭრელის გემბანზე მყოფი პოლარული ავიაციის თვითმფრინავები.

## თბილისის ოპერის გასტროლები ლენინგრადში

**ლენინგრადი,** 4 სექტ. („კომუნისტის" სპეც. კორესპ.). საოპერო წარმოდგენებს გარდა ქართველი მსახიობები დიდი წარმატებით გამოდიან კონცერტებში. 3 სექტემბერს ლენინგრადის სატელევიზო ცენტრმა, რომელმაც მუშაობა 1 სექტემბერს დაიწყო, მორიგი გადაცემა ქართულ მუსიკას მიუძღვნა. კონცერტში გამოვიდნენ მსახიობები ანდღულაძე, სოხაძე და ამირანაშვილი, რომლებმაც კოსტიუმებში და გრიმით შეასრულეს ნაწყვეტები ოპერიდან „აბესალომ და ეთერი". ტელეგადაცემის თავისებურება მდგომარეობს იმაში, რომ იგი გადასცემს არა მარტო ხმას, არამედ მსახიობთა გამოსახულებასაც. რადიომსმენელები, რომლებიც ისხდნენ ტელემიმღებებთან კულტურის სახლებში (ასეთი მიმღებები ჯერჯერობით მხოლოდ საზოგადოებრივ ადგილებშია), არა მარტო ისმენდნენ ქართველი მსახიობების მღერას, არამედ ეკრანზე მათ გამოსახულებასაც ხედავდნენ. გადაცემამ ძლიერ კარგად ჩაიარა. იმავე დღეს სოხაძე და ამირანაშვილი გამოვიდნენ აგრეთვე ლენინგრადის ფილარმონიის კონცერტზე. დიდი კონცერტი ჩვენი სიმფონიური ორკესტრის მსახიობთა მონაწილეობით დანიშნულია 6 სექტემბერს ფილარმონიაში.

**შ. ბუაჩიძე**

## პროფესიული კავშირების სრულიად-საკავშირო ცენტრალური საბჭოს მდივნის ამხ. ნ. მ. შვერნიკის მოხსენება

გუშინ კავშირთა სახლის ოქტომბრის დარბაზში მუშაობას შეუდგა პროფესიული კავშირების სრულიად-საკავშირო ცენტრალური საბჭოს VII პლენუმი. სხდომას დაესწრო 350 კაცზე მეტი. პროფესიული კავშირების სრულიად-საკავშირო ცენტრალური საბჭოს წევრებისა და კანდიდატების გარდა პლენუმის მუშაობაში მონაწილეობას იღებენ პროფესიული კავშირების ცენტრალური კომიტეტების ხელმძღვანელი მუშაკები და ჩვენი ქვეყნის უდიდეს საწარმოთა საქარხნო კომიტეტების თავმჯდომარენი.

ვრცელი მოხსენებით პროფესიული კავშირების სრულიად-საკავშირო ცენტრალური საბჭოს VI პლენუმის გადაწყვეტილებათა შესრულების შესახებ გამოვიდა პროფესიული კავშირების სრულიად-საკავშირო ცენტრალური საბჭოს მდივანი ამხ. ნ. მ. შვერნიკი.

ამხ. შვერნიკმა აღნიშნა, რომ პროფესიული კავშირების სრულიად-საკავშირო ცენტრალური საბჭოს VI პლენუმის გადაწყვეტილებანი, დამუშავებულნი საკ. კ. პ. (ბ) ცენტრალური კომიტეტის მდივნების ამხანაგების ლ. მ. კაგანოვიჩისა და ა. ა. ანდრეევის ხელმძღვანელობით, გახდნენ პროფკავშირების მუშაობის პროგრამა, რომლის განხორციელებისათვის მუშაობდა ყველა პროფესიული ორგანიზაცია. VI პლენუმის ისტორიული გადაწყვეტილებებით შეიარაღებული ჩვენი პროფესიული კავშირები აქტიურ მონაწილეობას იღებდნენ ქვეყნის მთელს პოლიტიკურ ცხოვრებაში, ისინი აქტიურად მონაწილეობდნენ სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს და მოკავშირე და ავტონომიური რესპუბლიკების უმაღლესი საბჭოების არჩევნების საარჩევნო კამპანიებში.

ამხანაგ სტალინის პატივსაცემად გამართული მქუხარე და ხანგრძლივი ოვაციით შეხვდა პლენუმი მომხსენებლის სიტყვებს ბოლშევიკური პარტიისა და ამხანაგ სტალინის გარშემო ჩვენი ხალხის შემჭიდროვების, საბჭოთა ხალხის მორალურ-პოლიტიკური ერთიანობისა და ყოველგვარი მტრის უკუგდებისათვის მისი მზადყოფნის შესახებ, რაც ბრწყინვალედ იქნა დემონსტრირებული ხასანის ტბასთან.

პლენუმის მონაწილენი ერთსულოვანი ტაშით მიესალმნენ სახელოვან საბჭოთა დაზვერვას და მის მებრძოლ ხელმძღვანელს ამხანაგ ეჟოვს, რომლებიც მთელი ხალხის დახმარებით ულმობელად ანადგურებენ ტროცკისტ-ბუხარინულ და ბურჟუაზიულ-ნაციონალისტ ჯაშუშებსა და მავნებლებს.

ამხ. შვერნიკი დაწვრილებით მოახსენებს პლენუმს იმის შესახებ, თუ როგორ სრულდებოდა VI პლენუმის გადაწყვეტილებანი.

პროფკავშირთა სრულიად-საკავშირო ცენტრალური საბჭოს VI პლენუმის შემდეგ ჩატარებულია პროფკავშირული ორგანოების არჩევნები. პროფმოძრაობის ისტორიას არ სცოდნია კავშირების წევრთა ისეთი აქტივობა, ისეთი კრიტიკა და ისეთი მომთხოვნელობა მათი მხრით, როგორიც მათ უკანასკნელ არჩევნებში გამოიჩინეს. პროფკავშირული მასა პროფკავშირული აპარატიდან ერეკებოდა მტრულ ელემენტებს, ჩინოვნიკებსა და ბიუროკრატებს. პროფკავშირთა ორგანოების შემადგენლობა მეტწილად განახლებულია. ახალმა პროფკავშირულმა ორგანოებმა შემოიკრიბეს ფართო ნებაყოფლობითი აქტივი. 154 კავშირის მონაცემებით, მათს მუშაობაში მონაწილეობას იღებს 4,5 მილიონი ნებაყოფლობითი აქტივისტი. ესენი არიან წევრები სოციალური დაზღვევის საბჭოებისა, ხელფასის, შრომის დაცვის, მასობრივ-საწარმოო მუშაობის, კულტურულ-მასობრივი მუშაობისა და სხვა კომისიებისა. უკანასკნელი არჩევნები ჩატარდა ფართო პროფკავშირული დემოკრატიის საფუძველზე. მაგრამ ჯერ კიდევ არის ფაქტები დემოკრატიის დარღვევისა, რაც გამოიხატება ადგილკომების თავმჯდომარეთა კოოპტაციით ზოგიერთ წარმოებაში.



პროფკავშირებმა გააუმჯობესეს თავისი მუშაობა სოციალური დაზღვევის დარგში. სისტემატურად კლებულობს მუშათა და მოსამსახურეთა ავადმყოფობის რიცხვი, კლებულობს ტრავმატიზმი.

ეს წარმატებანი კიდევ უფრო მეტი იქნებოდა, რომ პროფესიული ორგანიზაციები უფრო მეტ ყურადღებას აქცევდნენ შრომის დაცვას. ამავე დროს თავის ამოცანებს შრომის დაცვისა და უშიშროების ტექნიკის დარგში პროფკავშირები ჯერ კიდევ თავს ვერართმევენ.

ამხ. შვერნიკი აღნიშნავს, რომ კავშირთა ცენტრალური კომიტეტებისა და პროფესიულ კავშირთა სრულიად-საკავშირო ცენტრალური საბჭოს მუშაობის უდიდეს ნაკლს წარმოადგენს ის, რომ შესრულებული არ არის საკ. კ. პ. (ბ) ცენტრალური კომიტეტის თებერვალ-მარტის პლენუმის გადაწყვეტილებანი უშიშროების ტექნიკის წესების გადასინჯვის შესახებ. 412 წესიდან გადასინჯული და სამოქმედოდ შემოღებულია მხოლოდ დაახლოვებით 200.

მომხსენებელი დაწვრილებით ლაპარაკობს პროფკავშირების მუშაობის დიდ ნაკლოვანებებზე. პროფკავშირები ძალიან სუსტად იბრძვიან საბინაო მშენებლობის გეგმების შესრულებისათვის. საკმაო ყურადღება არ ექცეოდა ხელფასის საკითხებს. კულტურულ-მასობრივი მუშაობის დიდად გაშლა, რაც მიღწეულია საარჩევნო კამპანიის დროს, არ ყოფილა განმტკიცებული უმაღლესი საბჭოების არჩევნების შემდეგ; საარჩევნო კამპანიის დამთავრების შემდეგ ბევრმა პროფკავშირმა შეასუსტა, ხოლო ზოგიერთმა სრულიად მიივიწყა კიდეც ფართო მასობრივი მუშაობა მუშათა და მოსამსახურეთა შორის. საკმაო არ არის ის მუშაობა, რომელიც პროფკავშირული კადრების აღზრდისათვის სწარმოებს. ამხ. შვერნიკი სწორად სცნობს პროფკავშირული კადრების აღზრდის დარგში პროფესიულ კავშირთა სრულიად-საკავშირო ცენტრალური საბჭოს მუშაობის ნაკლოვანებათა კრიტიკას „პრავდის" ფურცლებზე.

დასასრულ ამხ. შვერნიკმა მოუწოდა პლენუმის მონაწილეებს, თავიანთ გამოსვლებში გაბედულად გამოამჟღავნონ ბოლომდე პროფკავშირთა მუშაობის ნაკლოვანებანი, რათა აღმოფხვრან ეს ნაკლოვანებანი და თავი გაართვან იმ ამოცანებს, რომლებსაც ლენინ-სტალინის პარტია პროფკავშირებს უსახავს.

დღეს პლენუმზე დაიწყება კამათი ამხ. შვერნიკის მოხსენების გამო.

(„პრავდა", 4 სექტემბერი).

## 3 სექტემბრის დილის სხდომა

3 სექტემბერს პროფკავშირთა სრულიად-საკავშირო ცენტრალური საბჭოს VII პლენუმის დილის სხდომაზე დაიწყო კამათი პროფკავშირთა სრულიად-საკავშირო ცენტრალური საბჭოს მდივნის ამხ. **ნ. მ. შვერნიკის** მიერ პროფკავშირთა სრულიად-საკავშირო ცენტრალური საბჭოს VI პლენუმის გადაწყვეტილებათა შესრულების შესახებ გაკეთებული მოხსენების გარშემო.

პირველი გამოდის ამხ. **ნიკოლენკო,** დონბასის ქვანახშირის მრეწველობის მუშათა კავშირის ცენტრალური კომიტეტის თავმჯდომარე.

— პროფკავშირთა სრულიად-საკავშირო ცენტრალური საბჭოს VI პლენუმმა, რომლის მუშაობაშიც მონაწილეობას იღებდნენ ჩვენი პარტიის ცენტრალური კომიტეტის მდივნები ამხანაგები ლ. მ. კაგანოვიჩი და ა. ა. ანდრეევი, — ამბობს ამხ. ნიკოლენკო, — უდიდესი როლი შეასრულა პროფესიული კავშირების მუშაობის გარდაქმნაში. იმის მეოხებით, რომ გაშლილი იყო კრიტიკა და თვითკრიტიკა, პროფორგანიზაციებმა აამაღლეს პროფკავშირების წევრთა პოლიტიკური სიფხიზლე, შესძლეს საკმაოდ გაეწმინდათ თავისი რიგები ფაშიზმის ტროცკისტ-ბუხარინელი აგენტებისაგან, რომლებიც შეპარული იყვნენ პროფკავშირული ორგანიზაციების აპარატის ხელმძღვანელობაში.

მუშაობის დაწყებული გარდაქმნის უმნიშვნელოვანეს შედეგს წარმოადგენს ის, რომ პროფორგანიზაციების ხელმძღვანელობაში მოვიდნენ ასობით და ათასობით ახალი ადამიანები. დონბასში აღიზარდა პროფკავშირული აქტივის უდიდესი არმია — 36 ათას კაცზე მეტი. ეს შესანიშნავი რეზერვია სახელმწიფო მუშაობის ყველა უბანზე დასაწინაურებლად.

ამხ. ნიკოლენკო ხაზგასმით აღნიშნავს სტახანოველების იმ შეკრებათა უდიდეს მნიშვნელობას, რომლებიც გასულ წელს დონბასში სტალინურმა სახკომმა ამხანაგმა ლ. მ. კაგანოვიჩმა ჩაატარა. ამხანაგ კაგანოვიჩის პრაქტიკულმა მითითებებმა ხელი შეუწყეს პროფკავშირულ ორგანიზაციებს გაეუმჯობესებინათ სტახანოვური მოძრაობის ხელმძღვანელობა და მაღაროელთა შორის გაეშალათ ნამდვილი სოციალისტური შეჯიბრება.

ამჟამად ინდივიდუალურ სოცშეჯიბრებაში ჩაბმულია 259 ათასი მუშა (მთელი შემადგენლობის 30 პროცენტი) და წარმოების 15 ათასი მეთაური. ყოველთვიურად ატარებენ ხელშეკრულებათა შესრულების შემოწმებას. მაგრამ, მიუხედავად ამისა, პროფკავშირული ორგანიზაციები ჯერ კიდევ ცუდად აწყობენ სტახანოველთა გამოცდილების ყველა მუშისათვის გადაცემას. ნახშირის ამოღების სახელმწიფო გეგმა არ სრულდება.

ამხ. ნიკოლენკომ გააკრიტიკა პროფესიული კავშირების სრულიად-საკავშირო ცენტრალური საბჭოს მუშაობის ნაკლოვანებანი; აღნიშნა, რომ იგი ცუდად ეხმარება შრომის დაცვის ორგანიზაციისა და ტრავმატიზმის ლიკვიდაციის საქმეს ქვანახშირის მრეწველობაში.

პროფკავშირული მუშაობის გარდაქმნის გამოცდილება პლენუმს გააცნო კიროვის ქარხნის (ლენინგრადი) საქარხნო კომიტეტის თავმჯდომარემ ამხ. **დრაპკინმა.**

ქარხნის პროფაქტივში 5.230 კაცი ითვლება. საქარხნო კომიტეტმა განსაკუთრებული ყურადღება მიაქცია უპარტიო აქტივის მიზიდვას პროფმუშაობაში. ქარხკომის შემადგენლობაში 45 პროცენტი უპარტიო ამხანაგებია.

ერთი წლის წინათ კიროვის ქარხანა, რომელიც უდიდესი საწარმოა ჩვენს ქვეყანაში, მხოლოდ 60 პროცენტით ასრულებდა პროგრამას. ქარხანაში თარეშობდა ფაშიზმის ტროცკისტ-ბუხარინელ აგენტთა ბანდა. მას შემდეგ რაც ხალხის მტრები გამომჟღავნებულ იქნენ და ხელმძღვანელობის სათავეში ლენინ-სტალინის პარტიის საქმისათვის თავდადებული, ახალი ადამიანები ჩადგნენ, ქარხანა გასული წლის მეოთხე კვარტალიდან მოკიდებული არა მარტო მთლიანად, არამედ გადაჭარბებითაც ასრულებს საწარმოო პროგრამას.

ამხ. დრაპკინი მკაცრად აკრიტიკებს პროფკავშირთა სრულიად-საკავშირო ცენტრალური საბჭოს კულტგანყოფილებას, როგორც პროფკავშირთა სრულიად-საკავშირო ცენტრალური საბჭოს ერთერთი ყველაზე ჩამორჩენილი განყოფილების, მუშაობას. ეს განყოფილება არ აწყობს ძირეული პროფკავშირული აქტივის სწავლებას.

ამხ. დრაპკინმა აღნიშნა, რომ პროფკავშირთა სრულიად-საკავშირო ცენტრალური საბჭოს მოხსენებაში საკმაოდ არ არის ხაზგასმული მუშაობის ნაკლოვანებანი. მან პროფკავშირთა სრულიად-საკავშირო ცენტრალური საბჭოს პრეზიდიუმის წინაშე დააყენა საკითხი, რომ საჭიროა გადასინჯულ იქნას შრომის კანონმდებლობა, რომლის მთელი რიგი დებულებებიც აშკარად მოძველებულია.

პოლიტიკური აღზრდისა და ახალი კადრების სწავლების შესახებ ლაპარაკობს თითქმის ყველა, ვინც კი პლენუმზე გამოდის. პროფსამუშაოზე მოვიდნენ ახალი ენერგიული ადამიანები. მათ ერთბაშად მხურვალედ მოჰკიდეს ხელი მუშაობას და მოკლე ხნის განმავლობაში მნიშვნელოვან ძვრებს მიაღწიეს მრავალ ადგილას. მაგრამ ამ ახალი კადრების სწავლება, მათდამი ხელმძღვანელობა ჯერ კიდევ ცუდად არის დაყენებული.

ჩელიაბინსკის ამხანაგ სტალინის სახელობის სატრაქტორო ქარხანაში, — მოგვითხრობს ამხ. **დრიაგინი,** — განახლებულმა ქარხკომმა შრომის კანონმდებლობის მთელი რიგი დიდი დარღვევები აღმოაჩინა. აქტივზე დაყრდნობით, ქარხკომი დაუყოვნებლივ შეუდგა მათ ლიკვიდაციას.

1937 წლის პირველი ნახევრის განმავლობაში ქარხანაში იყო 100 ათასზე მეტი ზედმეტი საათი, მიმდინარე წელს კი პირველი ნახევრის განმავლობაში ზედმეტი საათების რიცხვი შემცირდა ერთიორად და უფრო მეტად. საგრძნობლად იკლო დაავადების შემთხვევებმა. ამის შედეგად შესაძლო გახდა მიმდინარე წელს სოციალური დაზღვევის სახსრებიდან 250 ათასი მანეთის დაზოგვა. ამ სახსრების ნაწილი დახარჯულია ერთდღიური დასასვენებელი სახლის მოწყობაზე.

3 სექტემბერს დილის სხდომაზე გამოვიდნენ აგრეთვე ამხ. **არუთინიანი** (სომხეთის დაწყებითი და საშუალო სკოლის მუშაკთა კავშირის ცენტრალური კომიტეტის თავმჯდომარე), **რემიზოვი** (მძიმე მანქანათმშენებლობის მუშაკთა კავშირის ცენტრალური კომიტეტის თავმჯდომარე), **ნიკიტინი** (სელის მრეწველობის მუშაკთა კავშირის ცენტრალური კომიტეტის თავმჯდომარე), **გურტოვოი** (რსფს რესპუბლიკის მედსანშრომის მუშაკთა კავშირის ცენტრალური კომიტეტის თავმჯდომარე), **მაიანსკი** (შაქრის მრეწველობის მუშაკთა კავშირის ცენტრალური კომიტეტის თავმჯდომარე), **სტრეკოტენკო** (კოქს-ქიმიური მრეწველობის მუშაკთა კავშირის ცენტრალური კომიტეტის თავმჯდომარე) და **ჩუდინოვსკი** (საშუალო მანქანათმშენებლობის მუშაკთა კავშირის ცენტრალური კომიტეტის თავმჯდომარე).

(საკდესი).

## 3 სექტემბრის საღამოს სხდომა

საღამოს სხდომაზე გრძელდებოდა კამათი ამხ. შვერნიკის მოხსენების ირგვლივ პროფესიული კავშირების სრულიად-საკავშირო ცენტრალური საბჭოს VI პლენუმის გადაწყვეტილებათა შესრულების შესახებ. კამათის ზოგიერთი მონაწილე ლაპარაკობდა ადგილების მიმართ პროფესიული კავშირების სრულიად-საკავშირო ცენტრალური საბჭოს ხელმძღვანელობის ნაკლოვანებებზე, მოჰყავდა ფაქტები საქმის გაჭიანურებისა პროფესიული კავშირების სრულიად-საკავშირო ცენტრალური საბჭოს განყოფილებებში, აღნიშნავდა, რომ არ იყო გარკვეული და კონკრეტული დირექტივები. მაგალითად, ბალახნის ქაღალდის კომბინატის ფაბკომის თავმჯდომარე ამხ. რიჟაკოვი აღნიშნავდა, რომ დღემდე არავითარი მითითებები არ არის მიცემული გამომგონებლობის დარგში ფაბქარხკომების მუშაობის შესახებ. სოცდაზღვევის განყოფილებაში ორ თვეზე მეტ ხანს აჩერებდნენ მუშათა საჩივრებს, — განაცხადა ქაღალდის მრეწველობის მუშაკთა კავშირის ცენტრალური კომიტეტის თავმჯდომარემ ამხ. ივანოვმა. ამხ. ივანოვმა აგრეთვე აღნიშნა, რომ სრულებით არ არის ხელმძღვანელობა ინჟინერთა და ტექნიკოსთა სრულიად-საკავშირო სექციათაშორისო ბიუროს (იტსსბ) მხრით.

ამხ. გრანკოვსკი (სამხრეთ-დონეცის რკინიგზის პროფკავშირის საგზაო კომიტეტის თავმჯდომარე) ლაპარაკობდა იმის შესახებ, თუ როგორ იწყო ამ გზამ გარღვევიდან გამოსვლა რკინიგზის ტრანსპორტზე ლ. მ. კაგანოვიჩის დაბრუნების შემდეგ. სამხრეთ-დონეცის გზის უფროსად დანიშნულია ამხ. კრივონოსი. ამჟამად აქ დღითიდღე იზრდება კრივონოსელთა — მძიმე წონის მატარებლების წამყვანთა და სწრაფწამყვანთა რიცხვი. პროფორგანიზაციებმა შესძლეს მასების მოძრაობის ატაცება. ამის შედეგად რკინიგზამ დაზოგა 174 ორთქლმავალი და მრავალი ტონა ქვანახშირი.

საწარმოო აღმავლობა ემჩნევა აგრეთვე წყლის ტრანსპორტს ახალი სახკომის ამხ. ნ. ი. ეჟოვის მოსვლასთან დაკავშირებით, — აცნობა პლენუმს წყლის ტრანსპორტის მუშაკთა კავშირის ცენტრალური კომიტეტის თავმჯდომარემ ამხ. გორბაჩევმა. წყლის ტრანსპორტზე სულ უფრო-დაუფრო ინერგება წარმოებაში სტახანოველ-მექანიზატორის ამხ. ბლიდმანის მეთოდები.

ამხ. გორბაჩევმა პლენუმის წინაშე დააყენა საკითხი სამდინარო ტრანსპორტის მუშაკთა კავშირის გაწვრილერთეულების შესახებ. ამის გაკეთება საჭიროა ხელმძღვანელობის გასაუმჯობესებლად. პროფკავშირულ მასასთან მის მისაახლოვებლად. შეუძლებელია, მაგალითად, შორეულ-აღმოსავლეთის ან ციმბირის ბასეინების პროფორგანიზაციათა ხელმძღვანელობა ცენტრიდან.

პლენუმის საღამოს სხდომაზე გამოვიდნენ აგრეთვე ამხ. ფედინი — ცენტრალური რაიონების ქვანახშირისა ფიქალის მრეწველობის მუშათა კავშირის ცენტრალური კომიტეტის თავმჯდომარე, დიაროვი — კაზახეთის დაწყებითი და საშუალო სკოლის მუშაკთა კავშირის ცენტრალური კომიტეტის თავმჯდომარე, პეტელინი — ბეწვეულის მრეწველობის მუშათა კავშირის ცენტრალური კომიტეტის თავმჯდომარე, აქსენოვი — დნეპროპეტროვსკის ოლქის ძერჟინსკის სახელობის ქარხნის ქარხკომის თავმჯდომარე, მოტოვა — საბინაო მეურნეობის მუშათა კავშირის ცენტრალური კომიტეტის თავმჯდომარე, ეფიმოვი — პროფკავშირთა სრულიად-საკავშირო ცენტრალური საბჭოს სანატორიულ-საკურორტო გაერთიანების დირექტორი და მასლენიკოვა — აბრეშუმის მრეწველობის მუშათა კავშირის ცენტრალური კომიტეტის თავმჯდომარე. (საკდესი).

## გამოფენა ლენინური კომკავშირის XX წლისთავთან დაკავშირებით

ლენინური კომკავშირის 20 წლისთავისადმი მიძღვნილმა გამოფენამ, რომელსაც აწყობს სსრ კავშირის სახკომსაბჭოსთან არსებული ხელოვნების საქმეთა კომიტეტი და საკ. ალკკ ცენტრალური კომიტეტი, ცოცხალი ინტერესი გამოიწვია ჩვენი ქვეყნის მხატვართა და მოქანდაკეთა შორის. გამოფენის საორგანიზაციო კომიტეტმა მიიღო ლენინგრადიდან, თბილისიდან, ერევნიდან, ალმა-ატიდან, ორჯონიკიძიდან, არხანგელსკიდან, ვოროშილოვგრადიდან, ოდესიდან, ვორონეჟიდან, კურსკიდან, ივანოვოდან, კრასნოდარიდან, იჟევსკიდან და სხვა ქალაქებიდან მხატვართა თემატური განაცხადები საკ. ალკკ იუბილეისათვის ახალ ნაწარმოებთა შექმნაზე და აგრეთვე წინადადებანი მზა ნაწარმოებთა მოწოდების შესახებ, რომელნიც ახალგაზრდობისადმია მიძღვნილი.

მხატვრულ ნაშრომებში გამოხატულებას ჰპოვებს საბჭოთა ახალგაზრდობის მონაწილეობა სამოქალაქო ომში, ქვეყნის დაცვაში, ფიზკულტურულ მოძრაობაში, სოციალისტურ მშენებლობაში, რომელსაც იგი ეწეოდა სტალინური ხუთწლედების განმავლობაში, სსრ კავშირის ახალგაზრდა მოქალაქეთა სწავლა, დასვენება და ყოფაცხოვრება. გამოფენისათვის მოეწყობა ჩვენი ქვეყნის წარჩინებული ახალგაზრდობის სურათების გალერია.

## საქ. სსრ მიწათმოქმედების სახალხო კომისრის მოადგილის შესახებ

### საქ. სსრ სახალხო კომისართა საბჭოს დადგენილება

დამტკიცდეს საქ. სსრ მიწათმოქმედების სახალხო კომისრის პირველ მოადგილედ ამხ. გიორგი არტემის-ძე ალავიძე და შეყვანილ იქნას მიწსახკომის კოლეგიის შემადგენლობაში.

საქ. სსრ სახალხო კომისართა საბჭოს თავმჯდომარე
**ვ. ბაქრაძე**
საქ. სსრ სახკომსაბჭოს საქმეთა მმართველი **შ. ნანეიშვილი**

## ჩრდილოეთის ხალხთა წარმომადგენლების ექსკურსია სოხუმში

**სოხუმი,** 4 სექტემბერი (საკ. კორ.). 4 სექტემბერს სოხუმში ჩამოვიდა ჩრდილოეთის ხალხთა ჯგუფი, რომელსაც ადგილობრივი მშრომელები დიდი სიხარულით შეხვდნენ. ჩრდილოეთის ზღვის გზათა მთავარმა სამმართველომ მოაწყო ჩრდილოეთის ხალხების წარმომადგენელთა ექსკურსია სამხრეთის გასაცნობად. ექსკურსიაში მონაწილეობას იღებს ჩრდილოეთის თექვსმეტი ერის წარმომადგენელი, სულ 40 კაცი. აქ არიან იაკუტები, სახაები, კომელები, კარელები, მონელები და სხვ. კისლოვოდსკამდე ექსკურსიის მონაწილეებმა იმგზავრეს მატარებლით, ხოლო შემდეგ, გადმოლახეს რა ფეხით კავკასიონის 20 უღელტეხილი, ჩამოვიდნენ სოხუმში სვანეთზე გამოვლით. ჩრდილოეთის ხალხების წარმომადგენლებზე დიდი შთაბეჭდილება მოახდინა სამხრეთმა და განსაკუთრებით საქართველომ თავისი წარმტაცი ბუნებით. ექსკურსანტები ფართოდ გაეცნენ მთიანი რაიონების კოლმეურნეთა ცხოვრებას.

**გ. მეჩავილაძე**

## მოსკოვი—ბაქო—მოსკოვი

### მფრინავი ქალის ამხ. ბერეჟნაიას ბრწყინვალე რეისი

3 სექტემბერს სამოქალაქო საჰაერო ფლოტის მფრინავმა ქალმა ამხ. ბერეჟნაიამ დაამთავრა მოსკოვი-ბაქო-მოსკოვის მარშრუტით გადაფრენა.

თავისი რეისი მოსკოვიდან ბაქომდე და უკან ამხ. ბერეჟნაიამ სხვადასხვა მარშრუტით შეასრულა. 30 აგვისტოს 5 საათსა და 19 წუთზე მოსკოვიდან გამოფრენისას მან აიღო მიმართულება სტალინგრადზე, სადაც დაეშვა. აქ მან თვითმფრინავი გაამზადა, ისევ გაფრინდა და 12 საათსა და 35 წუთზე ბაქოს აეროდრომზე დაეშვა. 2 ათას კილომეტრზე მეტი მანძილი მოსკოვიდან ბაქომდე მან 6 საათსა და 20 წუთში დაჰფარა. საშუალო სისწრაფე საათში 316 კილომეტრს უდრის.

ეს რეისი განირჩევა არა მარტო ფრენის სისწრაფით, არამედ იმითაც, რომ ამხ. ბერეჟნაიამ დაამტკიცა მოსკოვიდან ბაქოში სტალინგრადზე გავლით, ერთხელ დაშვებით პირდაპირ გადაფრენის შესაძლებლობა. არსებულ ტრასასთან შედარებით მანძილი დაახლოვებით 500 კილომეტრით მცირდება.

ბაქოდან მოსკოვში დაბრუნებისას ამხ. ბერეჟნაია გზად დაეშვა მაჰაჩ-ყალაში, მინერალურ წყლებში და ხარკოვში. ამ ტრასაზეც მან მიაღწია საშუალო სისწრაფეს — 344 კილომეტრზე მეტს საათში.

ამხ. ბერეჟნაიას რეისი საცდელია. ის მოხდა სწრაფ საფოსტო თვითმფრინავზე „პს-40". მფრინავი ტიუტიაევის უკანასკნელი ცნობილი რეისის შემდეგ ბერეჟნაიას გადაფრენა ახალ პერსპექტივებს იძლევა სასწრაფო საჰაერო მიმოსვლის ორგანიზაციისათვის ძირითად მაგისტრალებზე, რომლებიც აკავშირებენ მოსკოვს ჩვენი ქვეყნის დიდ ცენტრებთან, განაპირა რესპუბლიკების დედაქალაქებთან. ახლო მომავალში შესაძლებელი იქნება მოსკოვიდან განაპირა რესპუბლიკების დედაქალაქში სწრაფი თვითმფრინავებით ჩამოტანა იმავე დღეს ფოსტისა და გაზეთებისა. (საკდესი).

# საქართველოს საშენ მასალათა მრეწველობა 1938 წლის პირველ ნახევარში

ნ. ციცაგი

საქ. ადგილობრივი მრეწველობის სახალხო კომისრის მოადგილე

საქ. კ. პ. (ბ) XI ყრილობაზე ამხანაგმა ბერიამ თავის მოხსენებაში აღნიშნა, რომ „ადგილობრივი მრეწველობის ცალკეული დარგები (სამთო და საშენი მასალის წარმოება) მეტისმეტად ჩამორჩნენ დაწესებული გეგმების შესრულებაში".

საშენ მასალათა მრეწველობამ დღემდე ვერ შესძლო გარღვევებიდან გამოსვლა. ის ვერ ასრულებს მიცემული გეგმების ვერც რაოდენობრივ და ვერც ხარისხობრივ მაჩვენებლებს და მთელ რიგ მნიშვნელოვან მშენებლობებს ჩაშლის წინაშე აყენებს.

არსებული გარღვევების ძირითად მიზეზს წარმოადგენს ის, რომ საშენ მასალათა მრეწველობის მუშაკებმა ჯერ კიდევ ვერ შეითვისეს ამ დარგის მნიშვნელობა, მათზე დაკისრებული პასუხისმგებლობა და ვერ მუშაობენ სრული შესაძლებლობით.

ამ დარგს დიდი ზიანი მიაყენეს მავნებლებმა და ხალხის მტრებმა, რომლებიც ცდილობდნენ ყოველმხრივ ხელი შეეშალათ საშენ მასალათა მრეწველობის ნორმალური მუშაობისათვის. ხდებოდა კაპიტალური მშენებლობის თანხების დაქუცმაცება; ქარხნებს ეძლეოდათ არარეალური გეგმები, ადგენდნენ არასწორ ცნობებს გეგმების შესრულების შესახებ და სხვ.

მავნებლები ექსპლოატაციაში დაუმთავრებელ და მოუწყობელ აგურის ქარხნებს უშვებდნენ. არცერთი აგურის ქარხანა დღემდე არ არის უზრუნველყოფილი საშრობი ფარდულების საკმარისი რაოდენობით, რის გამო ღუმელების სიმძლავრე გამოუყენებელი რჩება.

ტევრის აგურის ქარხნის აგურის საჭრელ პრესებს წლიურად შეუძლიათ დაამზადონ თხუთმეტი მილიონი ალიზი, ღუმელებს — თერთმეტი მილიონი, საშრობი ფარდულები კი გაატარებენ მხოლოდ ექვს მილიონ აგურს, ღრმაღელის ქარხნის პრესების წარმადობა შეადგენს 16 მილიონს, ღუმელისა—16,5 მილიონს, ხოლო საშრობი ფარდულებისა—12,5 მილიონს.

ასეთი პირობების გამო ქარხნები მუშაობენ არასრული დატვირთვით და შეფერხებით. მაგრამ უნდა აღინიშნოს, რომ საშენ მასალათა ქარხნები არსებულ პირობებშიც გვაძლევენ გაცილებით ნაკლებს, ვიდრე ამის შესაძლებლობა აქვთ. ეს იმიტომ, რომ არსებული მოწყობილობანი გამოყენებულია არასრული დატვირთვით.

ქარხანა „შრომა" საშენ მასალათა მრეწველობის წამყვანი წარმოებაა. ეს ქარხანა წელს სამარცხვინოდ ჩამორჩა. მან საწარმოო გეგმა ნახევარ წელში 56,1 პროცენტით შეასრულა, ივლისში კი 45 პროცენტით. ასეთი გარღვევების მთავარი მიზეზია ქარხნის ხელმძღვანელობის უთავბოლო მუშაობა.

ტევრის აგურის ქარხანამ ნახევარი წლის გეგმა შეასრულა 75,4 პროცენტით, ივლისისა — 49,4 პროცენტით. ამ მდგომარეობამდე ქარხანა მივიდა ყოფილი ხელმძღვანელობის მავნებლური მუშაობით. ასეთი ხელმძღვანელობის შედეგად ქარხანა საანგარიშო პერიოდში მუშაობდა დიდი გაცდენებით. ცუდი მეთვალყურეობისა და მოუვლელობის შედეგად გატყდა ელსადგურის ძრავის თავი და საჭირო გახდა მისი გამოწერა საზღვარგარეთიდან.

ქარხანას ზედა კარიერზე დამზადებული აქვს 43 ათასი მანეთის თიხა, საიდანაც გზის უქონლობის გამო მისი ჩამოტანა შეუძლებელია. ქარხანაში სრულიად მოუწესრიგებელია შრომის ორგანიზაცია.

ბეტონიტის ქარხანამ (დირექტორი ღულუნიშვილი) ნახევარ წელში გეგმა 70,3 პროცენტით შეასრულა. ივლისში—90,1 პროცენტით. გეგმის შეუსრულებლობის მიზეზია დიდი გაცდენები, განსაკუთრებით პირველ კვარტალში. ინერტიული მასალისა და ცემენტის უქონლობის გამო ადგილი ჰქონდა აგრეთვე ელექტროენერგიის მიუწოდებლობას. ქარხნის ხელმძღვანელობამ ვერ უზრუნველჰყო სომხეთიდან ინერტიული მასალის შეუფერხებელი მოწოდება. მაშინ როდესაც ამის შესაძლებლობა ჰქონდა. ქარხანას ყველა შესაძლებლობა აქვს დაჰფაროს გასული თვეების დანაკლისი და შეასრულოს წლიური გეგმა.

ღრმაღელის აგურის ქარხანამ (დირექტორი წვერავა) ნახევარი წლის გეგმა 100 პროცენტით შეასრულა, ივლისისა—102,73 პროცენტით. ქარხანას გარღვევა აქვს გამომწვარი აგურის გამოშვებაში, რომელიც გამოწვეულია შეფერხებებით ნახშირის მიღებაში და მუშა-ხელის სიმცირით. საცხოვრებელი ბინების უქონლობის გამო ქარხანას არა ჰყავს მუშათა მუდმივი კადრი.

აღსანიშნავია, რომ ღრმაღელის ქარხანა უკანასკნელი წლების განმავლობაში უთავბოლო მუშაობისა და მავნებლური ხელმძღვანელობის შედეგად მუდმივ გარღვევაში იყო. მხოლოდ წელს მიაღწია მან პირველად გეგმის შესრულებას და შეუფერხებელ მუშაობას. ქარხნის ხელმძღვანელებმა კიდევ მეტი ენერგიით უნდა იბრძოლონ მუშაობის შემდგომი გაუმჯობესებისათვის, განსაკუთრებით აგურის გამოწვის დარგში, აგრეთვე პროდუქციის ხარისხისა და მუშების კულტსაყოფაცხოვრებო პირობების გაუმჯობესებისათვის.

მოწამეთის კირის ქარხანამ (დირექტორი ცირეკიძე) ნახევარი წლის გეგმა 100 პროცენტით შეასრულა, ივლისისა—112 პროცენტით. მიუხედავად საერთო პროდუქციის გამოშვების გეგმის შესრულებისა, კირის გამოწვაში დიდი გარღვევაა. გამოწვის გეგმა შესრულებულია 70 პროცენტით. არსებული გარღვევის მიზეზია ქარხნის ხშირი გაცდენები ნახშირის მოუწოდებლობით. ამ მიზეზით გაცდენები პირველ ნახევარწელში შეადგენს 1065 საათს. უკანასკნელ თვეებში მიღწეულია გარდატეხა. ქარხანას არსებული გარღვევების დაფარვისა და წლიური გეგმის შესრულების სრული შესაძლებლობა აქვს.

სურამის კირის ქარხანამ (დირექტორი ინგოროყვა) ნახევარი წლის გეგმა 86,2 პროცენტით შეასრულა, ივლისისა—77,6 პროცენტით. კირის გამოწვის გეგმის შეუსრულებლობა გამოიწვია ნახშირის არასაკმაო რაოდენობით მიღებამ. საერთო პროდუქციის გეგმის შეუსრულებლობა ძირითადად გამოწვეულია კირქვის დამზადებაში არსებული გარღვევით. ქარხნის ძველი ხელმძღვანელობის მიერ მიმდინარე წლის გეგმა დამუშავებულ იქნა კირქვის სამი თვის მარაგის ანგარიშით. სინამდვილეში აღმოჩნდა, რომ დამზადებული კირქვა სულ მოკლე ხანში იშლება და ფუჭდება, რის გამო მისი დიდი რაოდენობით დამზადება შეუძლებელია. კარიერის მუშაობას აფერხებდა აგრეთვე ამონალის უქონლობა. ამჟამად ქარხანამ მიაღწია დღეღამეში 60 ტონა კირის მიღებას, რაც აღემატება დარგობრივი კონფერენციის მიერ მიღებულ ტექნიკურ ნორმას (45 ათასი ტონა) და უზრუნველჰყოფს წლიური გეგმის გადაჭარბებით შესრულებას.

საშენ მასალათა წარმოების ერთერთ ყველაზე უფრო არანორმალურ მოვლენად უნდა ჩაითვალოს მანქანა-მოწყობილობათა დიდი გაცდენები. დაახლოებითი გაანგარიშების მიხედვით ტევრის აგურის ქარხნის ალიზის საჭრელი აგრეგატები საშუალოდ გაცდენილია მთელი სამუშაო დროის 40-50 პროც. ქარხანა „შრომას" თიხის საფქვავი წისქვილები და მშრალად წნეხვის პრესი „ბოიდო" გაცდენილია 30-40 პროცენტით. მოწამეთის კირის ქარხნის ღუმელი გაცდენილია სამუშაო დროის 20-30 პროც.

ამ გაცდენების უდიდესი ნაწილის მოსპობა შესაძლებელია და ქარხნების ხელმძღვანელობამ გადამჭრელი ზომები უნდა მიიღოს მათ სალიკვიდაციოდ. წარმოებათა ხელმძღვანელებმა დროა შეიგნონ, რომ ამ მხრივ მათ დიდი რეზერვები გააჩნიათ. გაცდენების უმნიშვნელო შემცირებაც კი უდიდეს ეფექტს მოგვცემს და ხელს შეუწყობს ქარხნების გამოყვანას გარღვევებიდან.

პროდუქციის გეგმის რაოდენობრივ შეუსრულებლობასთან ერთად ცუდია გამოშვებული პროდუქციის ხარისხიც. დიდი რაოდენობით გამოდის წუნი. ქარხნების ხელმძღვანელები ბოროტად იყენებენ საშენ მასალებზე არსებულ დიდ მოთხოვნილებას და სათანადო ყურადღებას არ აქცევენ მათ ხარისხს. სრულებით არადამაკმაყოფილებელი ხარისხის აგურს უშვებს ტევრის აგურის ქარხანა. ცუდია აგრეთვე ნოსირის აგური. ქარხანა „შრომამ" ბევრი კლიენტები დაკარგა ცუდი ხარისხის პროდუქციის გამო.

წარმოებებში ადგილი აქვს მთელ რიგ დამახინჯებებს სტახანოვურ მოძრაობაში. წარმოებათა ხელმძღვანელები ვერ უქმნიან სტახანოველებს სათანადო პირობებს, დიდი გაცდენების გამო სტახანოველები ვერ მუშაობენ სრული შესაძლებლობით.

საქ. ადგილობრივი მრეწველობის კომისარიატის საშენ მასალათა სამმართველოს ახალმა ხელმძღვანელობამ გადამჭრელი ზომები უნდა მიიღოს მდგომარეობის გამოსასწორებლად და წლიური გეგმების შესასრულებლად. საშენ მასალათა მრეწველობას ჩამორჩენის ლიკვიდაციისა და მიმდინარე წლის გეგმების აუცილებლად შესრულების ყველა შესაძლებლობა აქვს. საჭიროა ადგილობრივი მრეწველობის კომისარიატმა და საშენ მასალათა მრეწველობის მუშაკებმა თავიანთი მუშაობა იმგვარად გარდაჰქმნან, რომ უზრუნველჰყონ მიცემულ დავალებათა შესრულება როგორც ამას მოითხოვენ პარტია და ხელისუფლება.



[illegible]

# სოცშეჯიბრება მოსავლის უდანაკარგოდ აღებისათვის

[illegible] ტარი თამბაქო, 1369 ჰექტარი კარტოფილი, აგრეთვე მიიღოს 8.040 ტონა ჩაის მწვანე ფოთოლი და 310 მილიონი ცალი ციტრუსოვანთა ნაყოფი. ხელშეკრულებაში ნათქვამია, რომ აჭარის ასსრ მიწსახკომი უზრუნველჰყოფს გასული წლის 12,9 ცენტნერის ნაცვლად წელს ჰექტარზე საშუალოდ 14 ცენტნერი სიმინდის აღებას, ბრინჯის მოსავლის გადიდებას 10-დან 13 ცენტნერამდე, თამბაქოს მოსავლის გადიდებას 8,5 ცენტნერამდე, ნაცვლად [illegible] ნებსა, ცალკეულ სოფლებსა, კოლმეურნეობებსა და საკოლმეურნეო ბრიგადებს შორის.

სოცშეჯიბრების შედეგების საბოლოო შემოწმების ვადად დაწესებულია 1939 წლის 20 იანვარი. აჭარის ასსრ მიწსახკომმა სოცშეჯიბრების არბიტრად დაასახელა საქართველოს მიწსახკომი, საქ. მიწათმოქმედების მუშაკთა პროფკავშირის ცენტრალური კომიტეტი და გაზ. „კომუნისტის" რედაქცია.

# გეგმები შევასრულეთ

ბაშკიჩეთის რაიონმა დაამთავრა მარცვლეულ კულტურათა მოსავლის აღება. ვადაჭარბებით შესრულებულია აგრეთვე თივის აღების გეგმა. 11.596 ჰექტარის ნაცვლად თივა აღებულია 12.030 ჰექტარზე (გეგმის 104 პროცენტი). საბჭოთა მეურნეობებში თივა აღებულია 1.800 ჰექტარზე. საანეულო ხვნა დაწესებულ ვადებში დამთავრდა. 1.000 ჰექტარის ნაცვლად მოხნულია 1966 ჰექტარი ანუ გეგმის 196,6 პროცენტი. საშემოდგომო თესვისათვის უკვე მომზადებულია 3.000 ჰექტარი ფართობი.

საქ. კ. პ. (ბ) ბაშკიჩეთის რაიკომის მდივანი **ავაქოვი**

# თელავის რაიონში უქმად დგას 45 ტრაქტორი

რაიონში წელს საშემოდგომოდ უნდა მოიხნას 16130 ჰექტარი. 31 აგვისტოსათვის, მტს-ის ცნობით, აქედან მოხნული იყო 2905 ჰექტარი. მტს-ს ხვნის გეგმა ამავე რიცხვისათვის შესრულებული ჰქონდა 32 პროცენტით. ხვნა აქ უნდა დაეწყოთ 1 ივლისიდან, ფაქტიურად 15 ივლისს დაიწყეს. მტს-ის დირექტორ ვ. მახარობლიძეს ჩამორჩენის გასამართლებელ საბუთად ის მოჰყავს, რომ კოლმეურნეობებმა დროულად ვერ გასწმინდეს სახნავი ნაკვეთები. როგორც ირკვევა, მთელმა რიგმა კოლმეურნეობებმა ვერ უზრუნველჰყვეს სახნავი მიწების დროულად გაწმენდა, (ყურდღელაურის 26 კომუნარის სახელობის კოლმეურნეობა, ვარდისუბნის კომინტერნის სახელობის კოლმეურნეობა და სხვ.), მაგრამ ეს მტს-ის ცუდი მუშაობის შედეგიცაა.

ჩამორჩენის მიზეზია აგრეთვე სახნისების უქონლობა. უსახნისობის გამო ამჟამად გაჩერებულია 45 ტრაქტორი. ზოგიერთი სატრაქტორო ბრიგადა სრული დატვირთვით არ მუშაობს. მაგალითად, რეზო მესაბლიშვილის ბრიგადამ დღის განმავლობაში შვიდ ჰექტარზე მეტი ვერ მოხნა. კიდევ მეტი: ფშაველის სასოფლო საბჭოში შ. გოდაბრელიძის სატრაქტორო ბრიგადას თვენახევრის განმავლობაში აუწყობელი ჰქონდა 4 ტრაქტორი იმის გამო, რომ სათადარიგო ნაწილები არ მოეპოვებოდა.

აღსანიშნავია, რომ მტს-ის დირექციამ „საქსოფლმომარაგებას" სახნისებზე დაკვეთა დაგვიანებით მისცა. ცენტრიდან სახნისები არ გამოუგზავნიათ. ძველი სახნისების გამოყენება თამამად შეიძლებოდა, მაგრამ მტს-ის სარემონტო სახელოსნომ რატომღაც ადგილობრივი რესურსების გამოყენებისათვის თავი არ შეიწუხა და კვლავ ცენტრის მოლოდინშია.

კოლმეურნეობებში საკმაოდ არ იყენებენ მუშა-პირუტყვს. მაგალითად, მატნის ფ. მახარაძის სახელობის და სხვა კოლმეურნეობებში ცოცხალი გამწევი ძალა ხვნაზე არ გამოუყენებიათ

მტს-ის დირექცია აჭიანურებს ტრაქტორისტებისათვის შრომადღეებზე კუთვნილ ფულის მიცემას. ტრაქტორისტ სიკო ჭიბალაშვილს შრომადღეების ანგარიშში 4990 მანეთი ერგებოდა. დღემდე ეს თანხა არ მიუღია. გიორგი სოზაშვილს 3554 მანეთიდან არც ერთი მანეთი არ მიუღია.

აღსანიშნავია, რომ რაიონის ხელმძღვანელმა ორგანოებმა საფუძვლიანად არ იციან რა მდგომარეობაა ხვნაში. არც მიწგანის მუშაკებმა იციან მოხნული ფართობის რაოდენობა.

ეს ფაქტები მოწმობენ რომ თელავის რაიონში საშემოდგომო თესვის მზადებაში დიდი ჩამორჩენაა. ეს მაშინ, როცა ამ დღეებში თესვა უნდა გაჩაღდეს. რაიაღმასკომი და მიწგანი კი ამ მდგომარეობას რაღატომღაც ეგუება.

გ. ასათიანი

# იმ ტრაქტორისტთა ხელფასის გადიდება, რომლებიც ხვნაზე მუშაობენ წინასახნისიანი გუთნებით

წინასახნისიანი გუთნებით ხვნა საგრძნობლად აუმჯობესებს მოხვნის ხარისხს და ადიდებს სასოფლო-სამეურნეო კულტურების მოსავლიანობას. მიუხედავად ამისა, ზოგიერთ მტს-სა და კოლმეურნეობაში წინასახნისებს ბევრ შემთხვევაში არ იყენებენ. სსრ კავშირის მიწსახკომმა [illegible] სრულად გამოყენება მიმდინარე წელს მშრალად ხვნის დროს. მანქანატრაქტორთა სადგურების იმ ტრაქტორისტთა ხელფასს, რომლებიც წინასახნისიანი გუთნით ხნავენ, ხელფასი უდიდდებათ 10 პროცენტით ჩვეულებრივ შეფასებებთან შედარებით.

სსრ კავშირის მიწსახკომმა წინადადება მისცა [illegible] ბრიგადებში წინასახნისიანი გუთნებით მშრალად ხვნაზე. (საკდესი).

## „კომუნისტის" სიგნალის შემდეგ

# „წერილი რედაქციის მიმართ"

„კომუნისტის" ა.-წ. 18 ივლისის ნომერში მოთავსებული იყო „წერილი რედაქციის მიმართ", რომლის ავტორი ვ. არველაძე აღნიშნავდა, რომ ბათუმის რკინიგზის საავადმყოფოს ექიმები რაქვიაშვილი, ხონელიძე და ექიმის თანაშემწე ხურცილავა სდევნიან, ავიწროვებენ და დასცინიან მას მათ შესახებ მამხილებელი წერილის დაწერის გამო.

აჭარის რესპუბლიკის პროკურორი ამხ. ი. კაპანაძე გვატყობინებს: ვ. არველაძემ თვითონ გამოამჟღავნა წერილის ავტორის ვინაობა. გამოკვლევით არ დადასტურდა აგრეთვე, რომ მას სდევნიდნენ და ავიწროვებდნენ ექიმები რაქვიაშვილი, ხონელიძე და ექიმის თანაშემწე ხურცილავა. პირიქით, გამოირკვა, რომ იგი, მთელ რიგ შეუფერებელ მოქმედებებს სჩადიოდა. ამიტომ ვ. არველაძის საქმე კვლევაძიებაშია.

რაც შეეხება წერილში აღნიშნულ დანარჩენ ფაქტებს—ექ. თანაშემწე ხურცილავას მევახშეობასა და საქმის გამორკვევის გაჭიანურებას, დამნაშავეთა პასუხისგებაში მისაცემად მიმდინარეობს კვლევაძიება.

მ. ალექსანდროვა

# ხალხთან განუყრელ კავშირშია საბჭოთა დაზვერვის ძალა

„საბჭოთა დაზვერვა ასრულებს ძნელ და პასუხსაგებ ამოცანას — იცავს სოციალისტურ სახელმწიფოს მრავალრიცხოვანი მტრებისაგან, რომელნიც იბრძვიან მის წინააღმდეგ ფარული ძირგამომთხრელი, დივერსიულ-მავნებლური, ჯაშუშური და ტერორისტული საქმიანობის ყველაზე ვერაგული მეთოდებით.

საბჭოთა დაზვერვა მუშათა და გლეხთა სოციალისტური სახელმწიფოს ხელში ასრულებს დამსჯელი მახვილის როლს მისი დაუძინებელი მტრების — ჩვენს საბჭოთა ზურგში კაპიტალისტურ სახელმწიფოთა გენერალური შტაბებისა და დაზვერვების აგენტების წინააღმდეგ. საბჭოთა დაზვერვის — სოციალიზმის მონაპოვართა ამ ერთგული დარაჯის დაუცხრომელ სიფხიზლეს უნდა უმადლოდეს საბჭოთა ხალხი იმას, რომ ფაშისტურ დაზვერვათა საზიზღარი დაქირავებული აგენტების — ტროცკისტ, ბუხარინელ და ბურჟუაზიულ ნაციონალისტ ჯაშუშთა და მკვლელთა დანაშაულებრივი გეგმები გამომჟღავნებული და გაცამტვერებულია. საბჭოთა ხალხმა მოიპოვა უდიდესი გამარჯვება, მან უკუაგდო გამცემელთა დანაშაულებრივი ხელი, რომელიც აღმართული იყო მისი მშვიდობიანი შრომის წინააღმდეგ, ცხოვრების ბედნიერი კომუნისტური წყობის შექმნისათვის შთაგონებული შემოქმედებითი მუშაობის წინააღმდეგ.

საბჭოთა დაზვერვა ხალხის ვერაგ და საშიშ მტრებთან განსაკუთრებით მძიმე ბრძოლის დროს ძალას იკრებდა ღრმა იდეურობაში, ბოლშევიკური პარტიის დროშისადმი ერთგულებაში, საბჭოთა ხალხის მილიონიან მასებთან განუყრელ, მჭიდრო კავშირში. საბჭოთა სახელმწიფოს სადამსჯელო ორგანოები ყოველთვის, თავისი არსებობის პირველი ნაბიჯებიდანვე, ეყრდნობოდენ მასების ღრმა პატრიოტიზმს, მათს გმირულ ღონისძიებებს ოქტომბრის დიდი რევოლუციის მონაპოვართა დაცვაში.

მილიონიანი მასების დახმარებამ უზრუნველჰყო საბჭოთა დაზვერვისათვის ის შესაძლებლობა, რომ არაერთხელ აღმოეჩინა და წინასწარ, დროულად აღეკვეთა რევოლუციის მტრების ვერაგული ზრახვები. რევოლუციის ეს პირველხარისხოვანი ამოცანა წარმატებით იჭრებოდა, მიუხედავად იმისა, რომ კაპიტალისტურ სახელმწიფოებს ჩვენს ზურგში ჰყავდათ ისეთი აგენტურა, რომელიც აღზრდილი იყო მასების რევოლუციური მოძრაობის წინააღმდეგ ბურჟუაზიულ დაზვერვათა მხეცური, ულმობელი ბრძოლის საუკუნოებრივ გამოცდილებაზე და ძირგამომთხრელი ჯაშუშური მუშაობის დახელოვნებულ მეთოდებზე.

სსრ კავშირში სამოქალაქო ომის ეპოქის გმირული პერიოდიდან არსებობს ბევრი განსაცვიფრებელი მაგალითი, რომლებიც ადასტურებს საგანგებო კომისიის ორგანოების ამ ღრმა სისხლხორცეულ კავშირს საბჭოთა ხალხთან. მაგალითად, კონტრრევოლუციური შეთქმულება, რომლის სათავეშიაც იდგა ესერი სავინკოვი, 1918 წელს აღმოჩენილ იქნა მოსკოვის პოკროვსკის საზოგადოების მოწყალების დის სიფხიზლის მეოხებით. მან ერთი იუნკრისაგან გაიგო, რომ კონტრრევოლუციონერთა შეიარაღებული აჯანყება მზადდებოდა, და დაუყოვნებლივ აცნობა ეს საბჭოთა ხელისუფლების ორგანოებს.

1919 წელს ერთერთი სამხედრო სკოლის ფერშალმა ხელი შეუწყო კონტრრევოლუციური სამხედრო ორგანიზაციის „ნაციონალური ცენტრის" შეთქმულების გამომჟღავნებას. ეს ფერშალი მივიდა ამხ. ძერჟინსკისთან და აცნობა მას, მე რომელიღაც სამხედრო კონტრრევოლუციურ ორგანიზაციაში გადაბირებას მიპირებენო. სოციალისტური რევოლუციის ერთგულმა საბჭოთა პატრიოტმა დაუფასებელი სამსახური გაუწია სოციალიზმის საქმეს.

ერთერთი სამხედრო კონტრრევოლუციური შეთქმულება პეტროგრადში გამომჟღავნებულ იქნა წითელარმიელის სიფხიზლის მეოხებით. ამ წითელარმიელმა აილო ქალალდების კონა, რომელიც ვიღაც ქალს დაუვარდა. ქაღალდებში ნახაზები აღმოჩნდა. წითელარმიელი მაშინვე მიხვდა, რომ აქ რაღაც სერიოზული ამბავი იფარებოდა. მან დააპატიმრა საეჭვო ქალი და საგანგებო კომისიაში მიიყვანა იგი. საბჭოთა დაზვერვის ორგანოების ხელში აღმოჩნდა ფართოდ განზრახული კონტრრევოლუციური სამხედრო შეთქმულების ძაფები. ამ საქმეზე დაპატიმრებულმა უცხოეთის სახელმწიფოს ჯაშუშმა თავხედურად განაცხადა: „შემთხვევა რომ არა, ვერ დამიჭერდითო".

— სცდებით, — უპასუხა ძერჟინსკიმ ჯაშუშს. — ჩვენ რომ მასა არ გვიჭერდეს მხარს, თვითეულ მუშას, თვითეულ წითელარმიელს შეგნებული რომ არ ჰქონდეს, რომ შეთქმულების გამომჟღავნება — ეს მარტო საგანგებო კომისიის საქმე კი არ არის, არამედ ყველა მშრომელთა საქმეა, მაშინ ის გარემოება, რომ თქვენს ქალიშვილს ქაღალდების კონა დაუვარდა, შეთქმულების გამომჟღავნებას არ გამოიწვევდა. თქვენს ქალიშვილს შემთხვევით დაუვარდა ქაღალდები, მაგრამ **შემთხვევითი არ იყო,** რომ წითელარმიელი დაინტერესდა ამით, **შემთხვევითი არ იყო,** რომ ის შეფოთდა და **შემთხვევითი არ იყო,** რომ დააპატიმრა თქვენი ქალიშვილი. საგანგებო კომისიის ძალა სწორედ იმაშია, რომ ეს **შემთხვევით არ არის.**

ამხ. ძერჟინსკიმ ამ სიტყვებით ღრმად გამოხატა და შეაფასა ის კლასობრივი ბაზა, რომელსაც ეყრდნობოდნენ და ეყრდნობიან საბჭოთა დაზვერვის ორგანოები.

საბჭოების სრულიად-რუსეთის VII ყრილობაზე 1919 წლის დეკემბერში ლენინმა განსაკუთრებული ძალით გაუსვა ხაზი იმის კანონზომიერებას, რომ უცხოეთის დაზვერვათა მრავალრიცხოვანი შეთქმულებების ლიკვიდაცია ხდებოდა რევოლუციის უაღრესად კრიტიკულ მომენტებში.

„...როდესაც საბჭოთა ხელისუფლება მძიმე წუთებს განიცდის, როდესაც ბურჟუაზიულ ელემენტებს შორის შეთქმულებები ეწყობა, და როდესაც კრიტიკულ მომენტში ამ შეთქმულებათა გამომჟღავნება ხერხდება, რას ნიშნავს ეს, — მათი გამომჟღავნება სრულიად შემთხვევით ხდება? არა, არა შემთხვევით. მათი გამომჟღავნება ხდება იმიტომ, რომ შეთქმულთა ცხოვრება უხდებათ მასებში, იმიტომ რომ მათ არ შეუძლიათ გვერდი აუხვიონ მუშებსა და გლეხებს, აქ კი ისინი თავიანთ საქმიანობაში, ბოლოსდაბოლოს, ხვდებიან ისეთ ადამიანებს, რომლებიც მიდიან ამ, როგორც აქ ამბობენ, ცუდად ორგანიზებულ საგანგებო კომისიებში და ამბობენ: „აი ამა-და-ამ ადგილას ექსპლუატატორები შეიკრიბნენო". *)

სამოქალაქო ომის მძიმე დღეებში, როდესაც ჩვენი ქვეყანა გარშემორტყმული იყო თავითფეხამდე შეიარაღებული ინტერვენტებით და გარემოცული იყო კონტრრევოლუციური შეთქმულებებისა და ჯაშუშობის ქსელით, ლენინმა და ძერჟინსკიმ მიმართეს მშრომელთ მოწოდებით — ყველანი ფეხზე დამდგარიყვნენ ჯაშუშობასთან საბრძოლველად, გაეორკეცებინათ სიფხიზლე ჯაშუშების, მავნებლების, დივერსანტების წინააღმდეგ, მდგარიყვნენ სადარაჯოზე! ხალხის რევოლუციური სიფხიზლე აღმოჩნდა სამოქალაქო ომის ფრონტებზე წითელი არმიის გამარჯვების ერთერთი უმნიშვნელოვანესი პირობა.

უცხოეთის დაზვერვები არაერთხელ ცდილობდნენ დაეჩლუნგებინათ რევოლუციის დაცვის ბასრი მახვილი—საბჭოთა დაზვერვა. ისინი იქ თავის აგენტებს ჰგზავნიდნენ. საბჭოთა ხალხის მტრები—ტროცკისტ-ბუხარინელი ჯაშუშები და დივერსანტები ვარაუდობდნენ შეებოჭათ პროლეტარული დიქტატურის სადამსჯელო ორგანოს სიმძლავრე იმით, რომ მის აპარატში დასვეს საზიზღარი გამცემელი იაგოდა და მისი დამქაშები.

მაგრამ ხალხის საზიზღარი მტრების იმედები გაცამტვერებულია!

პარტიის სტალინური ცენტრალური კომიტეტის, პირადად ხალხთა ბელადის ამხანაგ სტალინის ხელმძღვანელობით ხალხის მტრების ვერაგული გეგმები გამომჟღავნებულია. ჩვენმა საბჭოთა დაზვერვამ სტალინური სახკომის ამხ. ეჟოვის ხელმძღვანელობით გამოააშკარავა საზიზღარი ქვეწარმავალნი, გასწმინდა თავისი ორგანოები გამცემლებისაგან და სასიკვდილო ლახვარი ჩასცა ფაშისტ მკვლელებს, ჯაშუშებს, დივერსანტებს, მთელ ტროცკისტულ-ბუხარინულ ფაშისტურ ხროვას.

საბჭოთა დაზვერვა ბოლომდე ერთგულია ლენინ-სტალინის პარტიისა, ერთგულია კომუნიზმის დროშისა, ერთგულია საბჭოთა ხალხისა. საბჭოთა დაზვერვა მჭიდროდ დაკავშირებულია მასებთან და ამიტომ უძლეველია.

1937 წლის 27 ივლისს სსრ კავშირის ცაკის სხდომაზე წარმოთქმულ სიტყვაში ამხ. ნ. ი. ეჟოვმა მეტად მკაფიოდ გამოხატა განსხვავება კაპიტალისტურ და საბჭოთა დაზვერვებს შორის.

„კაპიტალისტურ სამყაროში, — ამბობდა ამხ. ეჟოვი, — დაზვერვის ორგანოები სახელმწიფო აპარატის ყველაზე საძულველ ნაწილს წარმოადგენენ მშრომელი მოსახლეობის ფართო მასებისათვის, ვინაიდან ისინი კაპიტალისტთა გაბატონებული ხროვის ინტერესების სადარაჯოზე დგანან. ჩვენში კი, — პირიქით, საბჭოთა დაზვერვის ორგანოები, სახელმწიფო უშიშროების ორგანოები, საბჭოთა ხალხის ინტერესთა სადარაჯოზე დგანან. ამიტომ ისინი სარგებლობენ დამსახურებული პატივისცემით, მთელი საბჭოთა ხალხის დამსახურებული სიყვარულით".

ის გიგანტური ისტორიული მუშაობა, რომელიც ნიკოლოზ ივანესძე ეჟოვის ხელმძღვანელობით ჩაატარეს საბჭოთა დაზვერვის ორგანოებმა უცხოეთის დაზვერვათა საზიზღარი აგენტურის გასანადგურებლად, შეიძლებოდა წარმატებით შესრულებულიყო მხოლოდ იმ უდიდესი დახმარების მეოხებით, რასაც უწევდნენ და უწევენ შინსახკომის ორგანოებს საბჭოთა ხალხის ფართო მასები. სახელოვან საბჭოთა დაზვერვას დაეხმარნენ მუშები, გლეხები, მოსამსახურენი, საბჭოთა ინტელიგენცია, რომლებმაც იგრძნეს ის უდიდესი საფრთხე, რაც ემუქრებოდა ჩვენს ქვეყანას ფაშიზმის საზიზღარი დაქირავებული აგენტების — ტროცკისტების, ბუხარინელების, ბურჟუაზიული ნაციონალისტების, ესერებისა და მენშევიკების მხრით, რომელნიც გაერთიანდნენ ერთ საზიზღარ ბინძურ კვანძად. საბჭოთა დაზვერვა შეიარაღებული აღმოჩნდა საბჭოთა პატრიოტების მილიონი თვალებით, რომლებიც უზრუნველყოფენ მის ძლიერებასა და უძლეველობას.

შეიძლება მოვიყვანოთ იმის უამრავი მაგალითები, თუ როგორ შესძლეს სახელმწიფო უშიშროების ორგანოებმა საბჭოთა პატრიოტების სიგნალებით ჯაშუშთა, დივერსანტთა და ტერორისტთა გველის ბუდეების აღმოჩენა ხალხის მტრების საზიზღარი ძირგამომთხრელი საქმიანობის აღკვეთა.

აი რამდენიმე დამახასიათებელი მაგალითი.

ერთი სამხედრო ქარხნის საამქროს ოსტატმა განაცხადა, რომ საცდელი თვითმფრინავის დათვალიერებისას მან ბენზინის ფილტრქვეშ აღმოაჩინა შაბიამნისფერი ყინული. ამ ყინულის ანალიზმა გამოარკვია, რომ ის აზოტ-მჟავა სპილენძს შეიცავდა; ფრენისას ამას უნდა გამოეწვია გარდუვალი კატასტროფა. ოსტატის სიგნალის მიხედვით შინსახკომის ორგანოებმა გამოძიება მოახდინეს და აღმოაჩინეს ქარხანაში დივერსიულ-მავნებლური ორგანიზაცია, რომელიც უცხოეთის ერთერთი დაზვერვის დავალებით მოქმედებდა.

რიაზანის ოლქის ერთერთი კოლმეურნეობის კოლმეურნე-ქალმა ხელი შეუწყო კულაკების ჯგუფის მხილებას, რომლებიც კოლმეურნეობაში მავნებლურ და დივერსიულ მუშაობას ეწეოდნენ, ანადგურებდნენ მოსავალს, პირუტყვს და სხვა.

გორკის ოლქში ელევატორის მშენებლობის მუშამ სსრ კავშირის სახკომსაბჭოს თავმჯდომარის ამხ. მოლოტოვის სახელზე გაგზავნილ წერილში განაცხადა, რომ მან მშენებლობაზე მავნებლობის აქტები შეამჩნია. შემდგომი გამოძიებით გამოაშკარავებულ იქნა მავნებელთა ჯგუფი, რომლის სათავეშიაც ყოფილი თეთრგვარდიელი იდგა.

იაკუტსკელი ქიმიკოსი ლაბორანტი-ქალის სიგნალის მეოხებით იაკუტსკის ერთერთ ქარხანაში შინსახკომის ორგანოებმა შესძლეს კონტრრევოლუციური ჯაშუშურ-დივერსიული ორგანიზაციის აღმოჩენა.

კრამატორსკის პურის ქარხნის მუშათა და მოსამსახურეთა კოლექტივი დაეხმარა შინსახკომის ორგანოებს პურის ქარხანაში მომქმედი დივერსიულ-მავნებლური ჯგუფის დანაშაულებრივი მოქმედების გამომჟღავნებაში.

გაზეთის მუშკორის სიგნალის მეოხებით ქალაქ ბაქოში აზერბაიჯანის სსრ შინსახკომის ორგანოებმა აღმოაჩინეს კონტრრევოლუციური მავნებლური ბანდა, რომელიც ბაქოს წყალსადენის მშენებლობაზე მოქმედებდა.

ვორონეჟის ოლქის სადგურ პოვორინო-ბორისოგლებსკში მოქალაქე ოჩკინმა იპოვნა დაშიფრული ბარათი და ის შინსახკომს გადაუგზავნა. შინსახკომის ორგანოებმა ბარათი გაშიფრეს და გამოარკვიეს, რომ მზადდებოდა მდინარე ხოპიორზე რკინიგზის ხიდის აფეთქება, და თავიდან აიცილეს ეს აფეთქება.

შეიძლებოდა კიდევ მოგვეყვანა იმ გმირობისა და სიფხიზლის მრავალი მაგალითი, რასაც იჩენენ ჩვენი მესაზღვრენი, მუშები და კოლმეურნენი, რომლებიც უცხოეთის დაზვერვათა აგენტებს იჭერენ.

ის საქმე, რომელსაც საბჭოთა დაზვერვა იცავს, წმინდათადაწმინდა და ძვირფასია ჩვენი სამშობლოს თვითეული პატრიოტისათვის.

საბჭოთა დაზვერვა იცავს საბჭოთა ხალხის მშვიდობიან შრომას, მუშათა და გლეხთა სოციალისტური სახელმწიფოს თავისუფლებასა და დამოუკიდებლობას, იბრძვის მშვიდობიანობისათვის ომის ფაშისტ გამჩაღებელთა წინააღმდეგ. ამიტომ თვითეულ საბჭოთა პატრიოტს, რომელსაც თავისი სამშობლო უყვარს და მისი მტრები სძულს, თავისი ღირსების საქმედ მიაჩნია დაეხმაროს საბჭოთა დაზვერვის ორგანოებს იმ მოღალატეთა, გამცემელთა, ფაშიზმის დაქირავებულ აგენტთა ულმობლად მოსპობაში, რომლებიც იპარებიან ჩვენს ქარხნებში, კოლმეურნეობებში, საბჭოთა და პარტიულ აპარატში.

რაგინდ დიდიც უნდა იყოს ის წარმატებანი, რომლებსაც მიაღწია საბჭოთა დაზვერვამ ფაშიზმის დაქირავებულ აგენტთა განადგურების გზაზე, ხალხის მტრებთან ბრძოლა არ შეიძლება დამთავრებულად ჩაითვალოს. ჩვენი სამშობლო კვლავ კაპიტალისტურ გარემოცვაში იმყოფება. სოციალიზმის ყოველი წარმატება, ყოველი გამარჯვება იწვევს ჩვენი კლასობრივი მტრების გააფთრებულ სიძულვილს ჩვენი ქვეყნის შიგნით და მის ფარგლებს გარეთ. ბურჟუაზია, როგორც გვასწავლის ამხანაგი სტალინი, ხელს არ აიღებს იმაზე, რომ მომავალშიაც დასტურებით ჰგზავნოს ჩვენს ზურგში ჯაშუშები, დივერსანტები, მავნებლები, მკვლელები. ბურჟუაზია ხელს არ აიღებს აგრეთვე იმაზე, რომ მომავალში გამოიყენოს ჩვენი ქვეყნის შიგნით კლასობრივი მტრის მიმალული, ჯერ კიდევ გამოუმჟღავნებელი ნამსხვრევები. არ შეიძლება თუნდაც ერთი წუთით დავივიწყოთ კაპიტალისტური გარემოცვა!

მთელი საბჭოთა ხალხი ფხიზლად და სრულ მობილიზაციურ მზადყოფნაში უნდა იყოს, რათა ძირფესვიანად აღკვეთოს უცხოეთის დაზვერვებისა და საზიზღარი ტროცკისტულ-ბუხარინული ფაშისტური აგენტურის ყოველგვარი თავდასხმა.

საბჭოთა ქვეყნის ძალა საბჭოთა ხალხის მორალურ და პოლიტიკურ ერთიანობაშია, ხალხის ერთიანობაში თავის მთავრობასთან, თავის დიად ლენინურ-სტალინურ პარტიასთან. ამავე ერთიანობაში, ხალხისა და სახელმწიფო უშიშროების ორგანოების სისხლხორცეულ კავშირშია საბჭოთა დაზვერვის დიადი ძალა და უძლეველობა.

*) ვ. ი. ლენინი. თხზულებანი, ტომი 24, გვ. 614.

# პარტიული ცხოვრება

## გაზეთების პარტიული ცხოვრების განყოფილებათა გამგეების თათბირი

[illegible]

## პარტკაბინეტი ისევ ცუდად მუშაობს

(ზუგდიდი, „კომუნისტის" საკ. კორესპონდენტისაგან)

[illegible]

## მარიამ ღუნაია მიღებულია საკ. კ. პ. (ბ) რიგებში

[illegible]

ალ. [illegible]

## როცა პოლიტსკოლებს მზრუნველი არა ჰყავს

(ბორჯომი, საკ. კორესპონდენტისაგან)

საკ. კ. პ. (ბ) ისტორიის შემსწავლელი წრე, რომელიც ახალდაბის ხე-ტყის სახერხი ქარხნის პირველადს პარტორგანიზაციასთან არსებობს, არადამაკმაყოფილებლად მუშაობს. მართალია, პოლიტსკოლის მეცადინეობის ჩაშლის შემთხვევები არ ყოფილა, მაგრამ მეცადინეობა ყოველთვის უხალისოდ მიმდინარეობს. ზოგიერთი მსმენელი მოუმზადებელი ცხადდება, ზოგი კი ხშირად არასაპატიო მიზეზით აცდენს მეცადინეობას. მაგალითად, ი. კამკამიძეს გაცდენილი აქვს 16 მეცადინეობა, ი. ბლიაძეს—9, გ. ნოზაძეს—8 და ა. შ.

პარტიული სწავლება კარგ მდგომარეობაში არც სოფ. დვირის საკოლმეურნეო პირველადს პარტორგანიზაციაშია. პოლიტსკოლის მსმენელები: სერგო და ლავრენტი ლომსაძეები, ონისიმე თაქთაქიშვილი და ალექსანდრე ყურაშვილი სისტემატურად აცდენენ პოლიტმეცადინეობას, მათ მიმართ კი არავითარ ზომებს არ ღებულობენ.

საგულისხმოა, რომ დასახელებულ პირველადს პარტორგანიზაციებს მთელი წლის განმავლობაში ერთხელაც არ განუხილავთ პარტიული სწავლების საკითხი, არ მოუსმენიათ პროპაგანდისტების მოხსენებები და მსმენელთა ინფორმაცია, თუ როგორ სწავლობენ ისინი.

ზონის ინსტრუქტორი ამხ. პ. სტეფნაძე და ინსტრუქტორ-პროპაგანდისტი ამხ. ვ. აკოფოვი ამ მდგომარეობას ჯეროვან ყურადღებას არ აქცევენ.

ამ ფაქტებიდან საქ. კ. პ. (ბ) ბორჯომის რაიკომმა სათანადო დასკვნები უნდა გააკეთოს.

გრ. ლომიძე.

## პარტორგი სუსტად მუშაობს

(ჩოხატაურის რაიონი)

ჩოხატაურის სარეწაო არტელების პირველადი პარტორგანიზაციის პარტორგი ამხ. პაიჭაძე ჯერაც არ შესდგომია იმ პრაქტიკულ წინადადებათა განხორციელებას, რომელნიც საანგარიშო-საარჩევნო კრებაზე შემოიტანეს კომუნისტებმა.

კვლავ დაბალია პარტიული კრების მომზადების ხარისხი. ივნისში პარტორგმა ერთხელ განიზრახა კრების ჩატარება და ისიც ვერ შესძლო.

არჩევნების დროს პარტიული ორგანიზაციის შემდგომი მუშაობის გაუმჯობესების ღონისძიებებში ჩასწერეს პარტიული სწავლების გაუმჯობესება, მაგრამ მდგომარეობა ჯერ არ შეცვლილა. პარტიის წევრობის კანდიდატები კვლავ აცდენენ მეცადინეობას. მაგალითად, გ. ჩხიკვაძე ისევ ხშირად აკლდება პოლიტსკოლის მეცადინეობას.

ზეინკალმა გ. სიხარულიძემ პარტიული სწავლების წრეში მეცადინეობა იმიტომ გააცდინა, რომ მან არ იცოდა საძეცადინოდ შერჩენილი ბინა. ეს, რასაკვირველია, მისთვის არ არის გასამართლებელი საბუთი, მაგრამ იმასაც ადასტურებს, რომ პარტორგი სუსტად ხელმძღვანელობს პარტგანათლების საქმეს.

პარტორგანიზაციის არჩევნების ჩატარების შემდეგ პარტიაში არავინ მიუღიათ. შეტანილია 4 განცხადება, რომელთა შორის ერთი 22 აპრილს მიიღო პარტორგმა, მაგრამ ისინი დღემდე განუხილავია.

სარეწაო არტელებში 91 შეკავშირებული მუშა - მოსამსახურეა გაერთიანებული. მათ შორის მუშაობისათვის კარგი პირობები აქვთ, მაგრამ, მიუხედავად ამისა, თანამგრძნობთა ჯგუფის შექმნა მაინც ვერ მოახერხეს.

ივნისის მუშაობის გეგმაში 5 საკითხი შეიტანეს. უკვე თვე გავიდა, მაგრამ არცერთი საკითხი არ არის შესრულებული.

მიუხედავად ნაკლოვანებებისა, პარტორგანიზაციას თავის მუშაობაში დადებითი გამოცდილებაც აქვს. კარგია მიცემულ დავალებათა აღრიცხვა და შესრულების კონტროლი. სტახანოველთა გამოვლინებას დიდად უწყობს ხელს თვით პარტორგი. მან კარგად იცის, რომელ საწარმოოში ვინ როგორ მუშაობს.

იმ უბანში, სადაც თვით პარტორგი პაიჭაძე მუშაობს, კარგად არის დაყენებული საგიტაციო მუშაობაც.

სარეწაო არტელების პარტორგანიზაციამ უნდა გააძლიეროს მუშაობა არსებული დეფექტების აღმოსაფხვრელად.

გ. ქორიძე.

## საქ. სსრ უმაღლესი საბჭოს დეპუტატი ამხ. დომენტი კუჭუხიძე მიღებულია პარტიაში

საქ. კ. პ. (ბ) აბაშის რაიკომის ბიურომ ა.-წ. 6 აგვისტოს სხდომაზე დაამტკიცა სოფ. ნაესაკოვოს მახარაძის სახელობის კოლმეურნეობასთან არსებული პირველადი პარტორგანიზაციის 1938 წლის 3 აგვისტოს დადგენილება საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს დეპუტატის, ამხ. დომენტი ეგნატეს-ძე კუჭუხიძის საკ. კ. პ. (ბ) წევრობის კანდიდატად მიღების შესახებ.

პ. ნადარეიშვილი.



საქ. კ. პ. (ბ) კიროვის რაიკომის პარტკაბინეტი.

სურათზე: პარტკაბინეტის გამგე ამხ. მ. ივანიშვილი (მარცხნივ) კონსულტაციას უწევს პროპაგანდისტს ამხ. ვ. ბობოხიძეს პრაღის კონფერენციის საკითხებზე.

ფოტო ი. რიშკოვისა („სოიუზფოტოს" საქ. განყ.)

## გეგმა

## ახალგაზრდობის XXIV საერთაშორისო დღისათვის მიძღვნილი დემონსტრაციის ჩატარებისა

### 1938 წლის 6 სექტემბერს ქალაქ თბილისში

1. ახალგაზრდობის XXIV საერთაშორისო დღისათვის მიძღვნილ დემონსტრაციაში მონაწილეობას იღებენ ყველა კომკავშირელები, მშრომელი ახალგაზრდობა, პიონერული, ფიზკულტურული, თავდაცვა-ავიაქიმის და სხვა ნებაყოფლობითი ორგანიზაციები, მუშურ-გლეხური წითელი არმიისა და სამოქალაქო საჰაერო ფლოტის საშეფო ნაწილებთან ერთად.

დემონსტრაციის მონაწილეთა რაოდენობა განისაზღვროს 150 ათასი კაცით.

2. რაიონული კოლონები ეწყობიან შემდეგი წესრიგით: რაიონის მედროშეები, პიონერები და რაიონის კოლონა.

3. კოლონის დაწყობის წესი — 20 კაცი მწკრივში. საწარმოთა, დაწესებულებათა და სასწავლებელთა კოლონის სათავეში მიდიან პარტკომის მდივნები, დირექტორები და პირველადი კომკავშირული ორგანიზაციების მდივნები, რომლებიც პასუხს აგებენ თავის დროზე შეკრებისა და წესრიგისათვის კოლონის მსვლელობის დროს. რაიონული კოლონის სათავეში მიდიან საქართველოს კ. პ. (ბ) თბილისის ორგანიზაციის რაიონული კომიტეტის ერთერთი მდივანი, საქართველოს ალკკ თბილისის ორგანიზაციის რაიონული კომიტეტის მდივნები და რაისაბჭოების თავმჯდომარეები.

კოლონებში ფართოდ უნდა იქნან წარმოდგენილნი ფიზკულტურელები, მფრინავები, პლანერისტები, პარაშუტისტები, ავიამოდელისტები, ვოროშილოველი მსროლელები, მშთ, იმშთ, მსთ და საჰაეროქიმიური თავდაცვის ნიშნების მქონენი, წვევამდელები და სხვ.

4. კოლონები მხატვრულად გაფორმდება ლოზუნგებით, პლაკატებით, მაკეტებითა და დიაგრამებით, რომლებიც ასახავენ საბჭოთა ახალგაზრდობის ძმურ სოლიდარობას მთელი მსოფლიოს მებრძოლ პროლეტარებთან ომისა და ფაშიზმის წინააღმდეგ, სსრ კავშირში სოციალისტური მშენებლობის წარმატებებს, საბჭოთა კავშირის საბრძოლო ძლიერებას, საბჭოთა ახალგაზრდობის მზადყოფნას თავისი სამშობლოს დაცვისათვის, მის უსაზღვრო ერთგულებას კომუნისტური პარტიისადმი და ხალხთა დიდი ბელადის, ახალგაზრდობის საუკეთესო მეგობრის ამხანაგ **სტალინისადმი**.

5. დემონსტრაციის მონაწილეთა გავლა მთავრობის ტრიბუნის წინ დაწყებულ იქნას დილის 11 საათზე, ამიერ-კავკასიის ფედერაციის მოედანზე.

6. დაწესებულ იქნას შემდეგი შესაკრები პუნქტები და რაიონული კოლონების მოძრაობის მარშრუტები:

ა) ლენინის სახელობის რაიონი იკრიბება სადგურის მოედანზე, მოძრაობს ჩელუსკინელთა ქუჩით, ლენინის ქუჩით, რუსთაველის პროსპექტით და 10 ს. და 00 წ. მეწინავე ნაწილით გამოდის კომინტერნის ქუჩაზე.

ბ) სტალინის სახელობის რაიონი იკრიბება პლეხანოვის პროსპექტზე მეწინავე ნაწილით ელბაქიძის დაღმართისა და ლენინის ქუჩის კუთხეში და მიჰყვება ლენინის რაიონის კოლონას.

გ) 26 კომისრის სახელობის რაიონი იკრიბება შაუმიანის მოედანზე, ჩამოდის კალიაევის დაღმართით, გაივლის ახალ სანაპირო ქუჩას და დილის 10 საათისათვის მეწინავე ნაწილით ეწყობა ჯორჯიაშვილის ქუჩაზე სასტუმრო „თბილისთან", საიდანაც მიჰყვება სტალინის სახელობის რაიონს.

დ) კიროვის სახელობის რაიონი იკრიბება ახალ სანაპირო ქუჩაზე და მეწინავე ნაწილით დაეწყობა 26 კომისრის სახელობის რაიონის უკან.

ე) ორჯონიკიძის სახელობის რაიონი იკრიბება ახალ სანაპირო ქუჩაზე, მეწინავე ნაწილით გამოდის მოედანზე მე-56 სკოლასთან და მიჰყვება კიროვის რაიონს.

7. დემონსტრაციის მონაწილეთა შეკრება რაიონის შესაკრებ პუნქტებზე დანიშნულ იქნას დილის 9 საათზე.

8. დემონსტრაციის მონაწილენი დაიშლებიან პუშკინისა და კოოპერაციის ქუჩებით.

9. ამხ. კოქლამაზაშვილმა (თბილისის საბჭო) უზრუნველჰყოს ამიერ-კავკასიის ფედერაციის მოედნის გაფორმება და ტრიბუნის მოწყობა, ხოლო რაისაბჭოების თავმჯდომარეებმა სადღესასწაულოდ გააფორმონ რაიონი.

10. დემონსტრაციის დროს წესრიგისა და უშიშროების უზრუნველყოფა დაევალოს რესპუბლიკური მილიციის სამმართველოს უფროსს ამხ. წერეთელს, ამხ. მიჩურინს — შინსახკომი და ქალაქის კომენდანტს — ამხ. მერაბოვს.

11. ყველა სახის ტრანსპორტის მოძრაობა დემონსტრაციის დღეს 6 სექტემბერს სწყდება დილის 8 ს. და 30 წ. ჩელუსკინელთა ქუჩაზე, ლენინის ქუჩაზე, რუსთაველის პროსპექტზე, ამიერ-კავკასიის ფედერაციის მოედანზე, პლეხანოვის პროსპ. ელბაქიძის დაღმართზე, სარეწაო კოოპერაციის ქუჩაზე, პუშკინის ქუჩაზე, შაუმიანის მოედანზე და კალიაევის აღმართზე.

12. ამიერ-კავკასიის ფედერაციის მოედანზე ხალხის მიმოსვლა სწყდება დილის 9 ს. და 30 წ. მოედანზე გაშვებული იქნებიან სსრ კავშირისა და საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოების დეპუტატები, საქართველოს კ. პ. (ბ) ცენტრალური კომიტეტის, თბილისის კომიტეტის წევრები და კანდიდატები, თბილისის საბჭოს წევრები, საქართველოს ალკკ ცენტრალური კომიტეტისა და თბილისის კომიტეტის წევრები და ორდენოსნები თავისი მანდატებით, ხოლო დანარჩენნი განსაკუთრებული საშვები ბარათებით.

13. ტრიბუნასთან საშვები ბარათები განისაზღვროს 800 კაცისათვის. ამიერ-კავკასიის ფედერაციის მოედანზე თვითეულ რაიონს დილის 9 ს. და 45 წ. ორგანიზებულად მოჰყავს 3000 კაცი—რაიონის სტახანოველები, დამკვრელები, წარჩინებული ადამიანები, პიონერები და სწავლის ფრიადოსნები. კოლონას მეთაურობს ალკკ რაიონული კომიტეტის მე-2 მდივანი.

ამხ. წერეთელმა და მიჩურინმა უზრუნველჰყონ მოედანზე კოლონების განრიგება და წესრიგი.

14. ხელოვნების საქმეთა კომიტეტმა (ამხ. ესაკია) ამიერ-კავკასიის ფედერაციის მოედანზე მოაწყოს ხალხური გუნდების გამოსვლა.

15. ამხ. მონიავამ (კავშირგაბმულობის სახ. კომ. რწმუნებული) და ცაგარეიშვილმა (რადიოკომიტეტი) მოახდინონ მოედნის რადიოფიცირება და მოაწყონ ტრანსლაცია.

16. ქალაქის კომენდანტმა ამხ. მერაბოვმა, ნაზიკვარიშვილმა (შინსახკომი) და ამხ. ჟელტუხინმა უზრუნველჰყონ დემონსტრაცია სასულე ორკესტრით.

17. ამხ. გიგოშვილმა (კინოფიკაციის სამმართველო) უზრუნველჰყოს დემონსტრაციის გადაღება.

18. დაევალოს თბილისის საბჭოს თავმჯდომარეს ამხ. კოქლამაზაშვილს გასცეს 10 ათასი მანეთი ახალგაზრდობის XXIV საერთაშორისო დღისათვის მიძღვნილი დემონსტრაციის გასაფორმებლად, საიდანაც ხუთი ათასი მანეთი მიეცეს ქალაქ თბილისის რაისაბჭოებს, ხოლო დანარჩენი ხუთი ათასი გასცეს ამიერ-კავკასიის ფედერაციის მოედნის გასაფორმებლად.

19. ნება დაერთოს თვითეულ რაიონს გააფორმოს დემონსტრაციისათვის მხოლოდ თითო მანქანა.

კომისია

## დეპუტატმა ახალი რეკორდი დაამყარა

**ბათუმი, 3** სექტემბერი (საკ. კორ.). ჩაის კრეფის ოსტატი, აჭარის ასსრ უმაღლესი საბჭოს დეპუტატი და პრეზიდიუმის თავმჯდომარის მოადგილე ამხ. ხატიჯე კაკაბაძე ქობულეთის რაიონის სტურუას სახელობის კოლმეურნეობის სტახანოველია. გუშინ ის მეზობელი კოლმეურნეობის „წითელი ოქტომბრის" პლანტაციაში კოლმეურნეებს ეხმარებოდა ჩაის ფოთლის კრეფაში. ამხ. ხატიჯემ ამ დღეს ბრწყინვალე წარმატებას მიაღწია, 19 კილოგრამის ნაცვლად მოკრიფა 309 კილოგრამი ჩაის ფოთოლი, გამოიმუშავა 24,3 შრომადღე და დღიური ნორმა 1626 პროცენტით შეასრულა.

ქ. დოგორჯგინიძე

# ფაშიზმი ახალგაზრდობის უბოროტესი მტერია

[illegible] გავლენას ახდენს ბავშვებზე, ახალგაზრდობაზე. განვითარების პროცესში მყოფი ახალი მსოფლიო ეკონომიური კრიზისი, უფრო მწვავე და მძიმე, ვიდრე წინა, 1929 წლის კრიზისი, კიდევ უფრო აძლიერებს კაპიტალისტური საზოგადოების ახალგაზრდა თაობის ისედაც აუტანელ გაჭირვებასა და ტანჯვას.

განსაკუთრებით მძიმეა მშრომელი ახალგაზრდობის მდგომარეობა იმ ქვეყნებში, სადაც ბატონობს ფაშიზმი — ფინანსიური კაპიტალის ყველაზე რეაქციული, ყველაზე შოვინისტური და ყველაზე იმპერიალისტური ელემენტების აშკარა ტერორისტული დიქტატურა.

„გერმანიის ფაშიზმი გამოდის, როგორც **საერთაშორისო კონტრრევოლუციის დამრტყმელი მუშტი, როგორც იმპერიალისტური ომის მთავარი გამჩაღებელი, როგორც საბჭოთა კავშირის, მთელი მსოფლიოს მშრომელთა ამ დიადი სამშობლოს წინააღმდეგ ჯვაროსნული ლაშქრობის წამომწყები**" (გ. დიმიტროვი).

ასრულებს რა თავისი ბატონების—კრუპებისა და ტისენების ნებასურვილს, გერმანიის ფაშიზმმა გადააქცია გერმანიის ხალხის მასები კაპიტალიზმის სრულიად უუფლებო მონებად. მსოფლიოს ერთერთი უკულტურულესი ქვეყანა გადაქცეულია ბნელეთისმოციქულობის, ბარბაროსობისა და ომის კერად.

ფაშისტური გერმანიის მილიონობით მშრომელნი ომისა და შიმშილის ჰიტლერული პოლიტიკის შედეგად განწირული არიან ნახევრადმშიერი არსებობისათვის. ისეთი გაზეთიც კი, როგორიც არის ლონდონის „ტაიმსი"—ინგლისელ კონსერვატორთა უდიდესი ორგანო, — იძულებულია აღიაროს, რომ მუშების ხელფასი გერმანიაში ჰიტლერის დიქტატურის დროს ოცდაათი პროცენტით შემცირდა, მაშინ როდესაც ცხოვრება ერთნახევარჯერ გაძვირდა.

გერმანელი ახალგაზრდობის სამუშაო დღე ფაბრიკებსა და ქარხნებში თერთმეტ საათზე ნაკლები არ არის. სრულასაკოვან მუშებთან თანაბარი კვალიფიკაციის დროსაც კი ახალგაზრდობა ფაშისტური კანონების თანახმად მათზე გაცილებით ნაკლებს ღებულობს. უმუშევართა ვეებერთელა არმიაში მნიშვნელოვან ნაწილს შეადგენენ ახალგაზრდა პროლეტარები.

ჰიტლერული ფაშიზმი შიმშილით ტანჯვას განუმზადებს ახალგაზრდობას. ჰიტლერული „კვების სისტემა" პირდაპირ მოითხოვს ახალგაზრდობისაგან, რომ იგი რაც შეიძლება „ზომიერად" იკვებებოდეს, ყოველნაირად ერიდებოდეს ხორცს, კარაქს, კვერცხს და... პურსაც კი. კარაქის ნაცვლად გერმანიის ახალგაზრდობას ჰიტლერელები სთავაზობენ რაღაც სითხეს, რომელსაც კარაქის სუნი აქვს. საკვირველი არ არის, რომ მეტისმეტად ცუდი კვების შედეგად ახალგაზრდობის ჯანმრთელობა გერმანიაში ფაშისტთა ბატონობის წლების მანძილზე მკვეთრად გაუარესდა. თვით ჰიტლერელთა აღიარებით გერმანელი ახალგაზრდობის მესამედიდან ნახევრამდე „არასავსებით შრომისუნარიანია". 1936 წელს არმიაში გაწვევისას დაწუნებულთა რიცხვი 1935 წელთან შედარებით ერთიორად გაიზარდა. მას შემდეგ დაწუნებულთა რაოდენობა განუწყვეტლივ იზრდება.

მშრომელ ახალგაზრდა ქალთა ისედაც მძიმე მდგომარეობა კიდევ უფრო გაუარესდა ეგრეთწოდებული „სასოფლო-სამეურნეო წლის" შემოღების შემდეგ. ახლა გერმანიის არცერთ მშრომელ ქალს 17 - 25 წლის ასაკში არ შეუძლია სამუშაო მიიღოს სახელმწიფო ან კერძო საწარმოში, თუ მან არ იმუშავა „სასოფლო-სამეურნეო წელი" მემამულესთან ან კულაკთან მოჯამაგირედ ან ხელზე მოსამსახურედ. ამასთან ახალგაზრდა ქალებს უფლება არა აქვთ მიიღონ რაიმე გარანტირებული ხელფასი და ისინი სავსებით დანდობილი უნდა იყვნენ მხეც კულაკთა და მემამულეთა „მოწყალებასა" და „გულუხვობაზე".

ჰიტლერი გააფთრებით ემზადება „დიდი ომისათვის" მსოფლიოს ახალი იმპერიალისტური გადანაწილების მოსახდენად, მან ვეებერთელა სამხედრო ყაზარმად გადააქცია გერმანია. ახალგაზრდობის მთელი აღზრდა დაქვემდებარებულია ომის ამოცანებისადმი. გერმანიის ფაშიზმის მიერ შექმნილი „ჰიტლერული ახალგაზრდობის" კავშირი თავის მთავარ ამოცანად ისახავს ახალგაზრდობის „აღზრდას" „ჯარისკაცული სულისკვეთებით", ჰქადაგებს „უმაღლესი რასის" კაცმოძულე თეორიებს, სიძულვილს კომუნიზმისადმი და ხოტბას ასხამს დაპყრობით ომებს.

ასეულათასობით გერმანელი ახალგაზრდა ძალადობით შერეკილია შრომითი ბეგარის ბანაკებში. თუ რას წარმოადგენენ ეს ბანაკები, ამაზე შეგვიძლია წარმოდგენა ვიქონიოთ ერთი ჰიტლერული გაზეთის სტატიის მიხედვით; ეს გაზეთი ამასწინათ სწერდა: „ჩვენს ბანაკებში დასვენება იმას კი არ უნდა ემსახურებოდეს, რომ რამდენიმე მხიარული დღე მისცეს ჭაბუკს ან ქალიშვილს. ის ხელს უნდა უწყობდეს ჯარისკაცული დისციპლინის დანერგვას".

ჰიტლერელები ცდილობენ გაატარონ გერმანიის მთელი ახალგაზრდობის მილიტარიზაცია, ძალადობით აიძულებენ ახალგაზრდობას გაიაროს დაუსრულებელი სამხედრო წრთვნა.

არმიაში შერეკილი გერმანელი ახალგაზრდობა წარმოუდგენელ აბუჩად აგდებასა და გაჭირვებას განიცდის. საკვირველი არ არის, რომ გერმანიის არმია თვითმკვლელობათა რიცხვით პირველია კაპიტალისტურ არმიებს შორის. ძლიერ გაიზარდა არმიიდან დეზერტირობა. ჰიტლერული საიდუმლო პოლიცია (გესტაპო) იძულებული გახდა სპეციალური განყოფილებაც კი შეექმნა „დეზერტირთა დასაჭერად".

მრავალი ათასი გერმანელი ანტიფაშისტი ახალგაზრდა — გერმანიის ახალგაზრდა თაობის საუკეთესო ნაწილი — წლობით იტანჯება საპყრობილეებსა და საკონცენტრაციო ბანაკებში და უსაშინელეს წამებას განიცდის.

**„მდიდრებისათვის სამოთხე, ღარიბებისათვის ჯოჯოხეთი"** — ასე **უწოდებენ ფაშისტურ იტალიას იტალიელი მუშები და გლეხები**. მშრომელი ახალგაზრდობის ცხოვრება ფაშისტურ იტალიაში მთლიანი კატორღაა. სამუშაო ხელფასი მარტო უკანასკნელი რამდენიმე წლის განმავლობაში 50 - 60 პროცენტით შემცირდა. ახალგაზრდა მუშები ერთი - ორად, ერთი-სამად ნაკლებს ღებულობენ, ვიდრე სრულასაკოვანი მუშები. მარტო მილანში (იტალიის უდიდესი სამრეწველო ცენტრი) ამჟამად 50.000 უმუშევარი ახალგაზრდა ითვლება. სამხრეთ იტალიაში მოჯამაგირე ახალგაზრდობა გარიჟრაჟიდან დაღამებამდე მუშაობს და დღეღამეში იღებს სულ ბევრი ორ ლირანახევარს, მაშინ როდესაც კილო პური ორი ლირა ღირს. მაგრამ ეს უბადრუკი „სამუშაოც" სასოფლო-სამეურნეო ახალგაზრდობას მხოლოდ ხუთ თვეს აქვს წელიწადში.

ფაშისტები მოუწოდებენ ახალგაზრდობას „მოითმინოს", მდუმარედ გადაიტანოს კაპიტალისტური რეჟიმის ყველა საშინელება. „ისწავლე მოთმინება საყვედურის უთქმელად, — ნათქვამია ფაშისტი ახალგაზრდობის ორგანიზაციის წესდების მერვე პუნქტში, — დამორჩილება კითხვის მიუცემლად და სამსახური ჯილდოს მიღების იმედის უქონლად".

გაფაციცებით ემზადებიან რა ახალი სამხედრო ავანტიურებისათვის, იტალიელმა ფაშისტებმა შემოიღეს მთელი მოსახლეობის სავალდებულო სამხედრო წრთვნა, 8 წლის მოზარდებით დაწყებული და 55 წლის მოხუცებით გათავებული.

იტალიელმა ფაშისტებმაც გამოიმუშავეს თავისი „სისტემა კვებისა" და მოუწოდებენ ახალგაზრდობას ყოველთვის უჩვენებდეს ქამაში „ზომიერების მაგალითს". საქმე იქამდე მიდის, რომ ერთერთი უდიდესი, ყველაზე გავრცელებული ფაშისტური გაზეთი „ჯორნალე დ'იტალია" გულმოდგინედ ურჩევს მოსახლეობას ისარგებლოს სუროგატებით და მათი სარგებლობის დასამტკიცებლად მოჰყავს ასეთი აბუჩად ამგდები არგუმენტები: „სუროგატებით გამოკვებილ დედებისგან დაბადებული ვირთაგვები ლამაზები და აბსოლუტურად ჯანსაღები გაიზარდნენ. ბუნებრივია, რომ ასევე გაიზრდებიან ჩვენი ბავშვებიც". მეორე ფაშისტური გაზეთი „გაძეტა დელ პოპოლო" ყოველნაირად ჰქადაგებს მარხვას და აცხადებს, რომ „მარხვა გონებას სწმენდს და გრძნობებს აკეთილშობილებსო".

ფაშისტურ იტალიაში ყველა ბავშვთა ოცი პროცენტი ავადმყოფობის გამო და სამედიცინო დახმარების უქონლობით ორი წლის ასაკამდე იხოცება. ხოლო ვინც ცოცხალი რჩება, მეტნაწილად სუსტი და უძლური იზრდება. იტალიელი ექიმები აღნიშნავენ, რომ არასაკმაო კვების გამო იტალიის არმიაში გაწვეული ახალგაზრდობის მეტად დიდი პროცენტი ფიზიკურად საკმაოდ განვითარებული არ არის.

ჰიტლერსა და მუსოლინის ცდილობენ არ ჩამორჩნენ მათი მოკავშირენი და ლაქიებიც, მათ შორის პოლონელი პანები. ფაშისტურ **პოლონეთს** კაპიტალისტურ სახელმწიფოებს შორის სამართლიანად უჭირავს ერთერთი პირველი ადგილი ხალხის სიღატაკის ოდენობითა და სიღრმით. უსიხარულოა პოლონელი მუშა ახალგაზრდობის ცხოვრება, მაგრამ კიდევ უფრო საშინელია გლეხი ახალგაზრდობის მდგომარეობა. „სოფლის მეურნეობა ხეიბართა ნამდვილ ფაბრიკას წარმოადგენს", — სწერს გაზეთი „ზელიონი შტანდარ" — გლეხური პარტიის „სტრონიცტვო ლიუდოვეს" ორგანო. პოლონეთის სოფელში დაახლოვებით 8 მილიონი „უსაქმო გლეხი" ითვლება. ეს უმთავრესად სასოფლო-სამეურნეო ახალგაზრდობაა. პოლონეთის სოფელში იშვიათად შეიძლება შეხვდეთ ჯანსაღ ბავშვს. ხუთ მილიონამდე ბავშვი სკოლის გარეთაა დარჩენილი.

**იაპონიაში** მშრომელი ახალგაზრდობის ცხოვრება ამჟამად მძიმეა, როგორც არასოდეს. იაპონიის სამხედრო-ფაშისტური დიქტატურის მთავრობამ, რომელმაც შარშან დაიწყო ყაჩაღური ომი ჩინელი ხალხის წინააღმდეგ, ახალი გააფთრებული შეტევა მოაწყო მუშებისა და გლეხების საარსებო დონეზე. ახალგაზრდობის სამუშაო დღე იაპონიაში 11 - 15 საათს შეადგენს. ახალგაზრდობის ხელფასი ყველაზე დაბალ დონეზე დგას სხვა კაპიტალისტურ ქვეყნებთან შედარებით. იმ 60 ათას კაცში, რომლებმაც შარშან თავი მოიკლეს უმუშევრობის, გაჭირვებისა და შიმშილის გამო, ნახევარზე მეტი ახალგაზრდობაზე მოდის. თუ რამდენად ცუდია ახალგაზრდობის ფიზიკური მდგომარეობა, ამას მოწმობს ისეთი ფაქტი, რომ არმიაში გაწვევისას დასაწუნებელი ხდება გასაწვევთა 40 - 45 პროცენტი. იაპონელი ახალგაზრდობის ნახევარზე მეტი წერა-კითხვის უცოდინარია. წარმოუდგენელი სიღატაკე აიძულებს ასეულათასობით იაპონელ გლეხებს საროსკიპო სახლებში გაჰყიდონ თავისი ქალიშვილები.

განსაკუთრებით მძიმე მდგომარეობაშია მშრომელი ახალგაზრდობა ყველა დანარჩენ კაპიტალისტურ ქვეყნებშიაც.

**ამერიკის შეერთებულ შტატებში** — მსოფლიოს ყველაზე მდიდარ კაპიტალისტურ ქვეყანაში — მილიონობით ჭაბუკები და ქალიშვილები უნაყოფოდ დაეხეტებიან ქალაქებში რაიმე სამუშაოს საძებნელად. ამერიკის შეერთებული შტატების 14 მილიონ უმუშევარში 6 მილიონს ახალგაზრდობა შეადგენს. ამერიკის შეერთებული შტატების არმია მოხალისეებისაგან შესდგება, მაგრამ იმ ახალგაზრდებს შორისაც კი, რომლებიც არმიაში მიდიან და თვითონ მიაჩნიათ თავი სამხედრო სამსახურისათვის ვარგისად, 20 პროცენტს იწუნებენ ჯანმრთელობის ცუდი მდგომარეობის გამო. ეს სისტემატური ცუდი კვების, აუტანელი შრომისა და იმ მძიმე პირობების შედეგია, რომლებშიაც ცხოვრობს „ცათაბჯენებისა და მილიარდერების ქვეყნის" მოსახლეობის უმრავლესობა. უაღრესად მძიმეა მდგომარეობა ზანგი ახალგაზრდობისა, რომელსაც გულქვა ექსპლოატაციას უწევენ ამერიკელი კაპიტალისტები და მემამულეები.

ამერიკელ მოწაფეთა სამი მეოთხედი გამოკვლევის დროს ავადმყოფი აღმოჩნდა.

**ინგლისში** უმუშევრობა ახალგაზრდობაში 1937 წლის თებერვლიდან 1938 წ. თებერვლამდე თითქმის 30 პროცენტით გაიზარდა. მრეწველობაში მომუშავე ახალგაზრდობის თითქმის 90 პროცენტს კვალიფიკაცია არ გააჩნია. კაპიტალისტები ყოველნაირად ცდილობენ შესცვალონ სრულასაკოვან მუშათა შრომა ქალთა და მოზარდთა გაცილებით უფრო იაფი შრომით. ამასთან, მიაღწევს თუ არა მოზარდი ისეთ ასაკს, როდესაც მას შეუძლია სრულასაკოვანი მუშის ხელფასი მოითხოვოს, მას დაუყოვნებლივ ითხოვენ და კვლავ სცვლიან მის შრომას ბავშვთა იაფი შრომით. მშრომელ ახალგაზრდობას არა აქვს ხვალინდელი დღის რწმენა, იგი ყოველთვის იმ საფრთხეშია, რომ მას ქუჩაში გააგდებენ.

კაპიტალისტური ქვეყნების მილიონობით ახალგაზრდები „ზედმეტი ადამიანები" არიან, ცხოვრებისაგან გარიყულნი. მათ მომავლის არავითარი იმედი არა აქვთ. ბევრი სასოწარკვეთილებას თვითმკვლელობამდე, ბანდიტიზმამდე ან დანაშაულის ჩადენამდე მიჰყავს. ამერიკის შეერთებულ შტატებში დამნაშავეთა უდიდესი ნაწილი 19 - 21 წლის ახალგაზრდებისაგან შესდგება.

მშრომელი ახალგაზრდობა კაპიტალიზმს ესაჭიროება მხოლოდ როგორც საზარბაზნე ხორცი იმპერიალისტური ომებისათვის.

საბჭოთა ახალგაზრდობის ბედნიერი ცხოვრება იწვევს კაპიტალისტური ქვეყნების ახალგაზრდობაში მისწრაფებას ფაშიზმის და ომის წინააღმდეგ ბრძოლისაკენ, მთელ მსოფლიოში სოციალისტური საზოგადოების დამყარებისათვის ბრძოლისაკენ.

საბჭოების ქვეყნის ჭაბუკები და ქალიშვილები ფართოდ სარგებლობენ განათლების, შრომისა და დასვენების უფლებებით, რომლებიც განმტკიცებულია დიადი სტალინური კონსტიტუციით. ყოველ ახალგაზრდა ვაჟს, ყოველ ქალიშვილს განუსაზღვრელი შესაძლებლობა აქვს აირჩიოს სპეციალობა, მიიღოს სათანადო განათლება და მოახმაროს თავისი ძალა და ცოდნა მეურნეობის, მეცნიერებისა და ტექნიკის ყოველ დარგს.

თავისი სამშობლოსადმი, ლენინ-სტალინის პარტიისადმი ღრმა სიყვარულით გამსჭვალული ახალგაზრდობა სოციალისტური მშენებლობის ყველა ფრონტზე გვიჩვენებს გმირული შრომის ნიმუშებს. მაგრამ იგი ერთი წუთითაც არ ივიწყებს კაპიტალისტურ გარემოცვას და მზად არის პარტიისა და მთავრობის პირველი დაძახებისთანავე ულმობელად გაანადგუროს ყოველი მტერი, რომელიც კი გაბედავს ჩვენი სამშობლოს ხელყოფას.

კაპიტალისტური ქვეყნების ახალგაზრდობის საუკეთესო ნაწილს შეგნებული აქვს, რომ ერთადერთ გამოსავალს წყვდიადით მოცული მდგომარეობიდან, ფაშისტური ბნელეთისმოციქულობის კოშმარიდან წარმოადგენს რევოლუციური ბრძოლა. ეს ბრძოლა დაიწყო, და იგი ბოლომდე იქნება მიყვანილი. ფაშიზმს ვერაფერი ვერ იხსნის. ახალგაზრდობისა და მთელი პროგრესიული კაცობრიობის ეს უბოროტესი მტერი მოსპობილი იქნება. მასთან ერთად აღგვილი იქნება პირისაგან მიწისა მთელი კაპიტალისტური წყობილებაც. (საკდესი).

# კომპარტიის აქტივის კრება პრაღაში

პრაღა, 3 სექტემბერი (საკდესი). ჩეხოსლოვაკიისათვის დღევანდელ დაძაბულ მომენტში პრაღის პროლეტარიატი განსაკუთრებულ სიმშვიდესა და მიდგრომას იჩენს. არცერთ საწარმოში არ არის ნიშნები პანიკის ან დაბნეულობისა. პირიქით, აღნიშნავენ უმაგალითო მისწრაფებას ერთიანობისაკენ, რათა გაუმკლავდნენ აგრესორს. სამი დღის წინათ მომხდარი საქალაქო კრება ჩეხოსლოვაკიის კომპარტიის აქტივისა, რომელსაც პრაღის ფაბრიკა-ქარხნების მუშათა 1000 მეტი წარმომადგენელი დაესწრო, მძლავრი გამომხატველი იყო პრაღის მუშათა მასების სულისკვეთებისა და ნებისყოფისა. კომპარტიის ცენტრალური კომიტეტის წევრის ამხ. შმერალის მოხსენების მოსმენის შემდეგ ჩეხოსლოვაკიის საშინაო და საგარეო პოლიტიკური მდგომარეობის შესახებ, კრებამ ერთსულოვნად მოიწონა ჩეხოსლოვაკიის კომპარტიის პოლიტიკა, რომელიც მიზნად ისახავს ხალხის მასების მობილიზაციას ჰენლაინელთა პარტიის პროვოკაციებისა და ტერორის და ფაშისტური გერმანიის მოსალოდნელი აგრესიის წინააღმდეგ. კრებამ აღნიშნა, რომ იგი წინააღმდეგია ჰენლაინელთადმი დათმობისა.

# ინგლისის პრესა ჰენლაინისა და ჰიტლერის მოლაპარაკების შესახებ

ლონდონი, 3 სექტემბერი (საკდესი). ლონდონში ჰფიქრობენ, რომ ჰენლაინის ჰიტლერთან შეხვედრის შემდეგ მდგომარეობა ოდ- [illegible]

[illegible] რომ რეხსიმები კიდევ უფრო ძლიერ ზეგავლენას მოახდენს ჩეხოსლოვაკიის მთავრობაზე, რათა მიაღწიოს ამ პროგრამის განხორციელებას.

გაზეთ „დეილი ტელეგრაფ ენდ მორნინგ პოსტის" კორესპონდენტი სწერს, რომ ჰენლაინი, ალბათ, მოითხოვს მოლაპარაკების დამთავრებას მომავალი კვირის დამდეგს, იმ ანგარიშით, რომ მოლაპარაკების ჩაშლის შემთხვევაში, რისი იმედიც [illegible] დათმობება ჩეხოსლოვაკიის მთავრობის მხრივ უკანასკნელ საზღვრებს მიაღწია. შემდგომი დათმობა შეუძლებელია ისე, რომ რესპუბლიკის მთლიანობას ზიანი არ მიადგეს. ინგლისის მუშათა კლასს უდიდესი შესაძლებლობანი აქვს [illegible] მას აკისრია დიდი პასუხისმგებლობა. [illegible] დავაყენოთ არჩევანის წინაშე — ან ხელი არ ახლოს ჩეხოსლოვაკიას ან დაიწყოს ომი მთელ მსოფლიოსთან. გაზეთი წინადადებას იძლევა, მოწვეულ იქნას ლეიბორისტული პარტიის საგანგებო კონფერენცია.

# გერმანიის სამხედრო სამზადისი

პარიზი, 3 სექტემბერი (საკდესი). გაზეთი „ევრი" აქვეყნებს ბერლინიდან მიღებულ დეპეშას იმის შესახებ, რომ გერმანიის ხელისუფალნი გამალებით მუშაობენ გერმანიის სამხედრო სამზადისთან დაკავშირებით. კერძოდ, სწრაფად მატულობს საზღვარგარეთიდან რკინის მადნის შეზიდვა. 1938 წლის პირველი 7 თვის განმავლობაში გერმანიამ უცხოეთიდან თითქმის იმდენივე რკინის მადანი შეზიდა, რამდენიც შეზიდული იყო 1934 და 1935 წლის იმავე პერიოდში ერთად.

# პოლონური გაზეთი გერმანიის სიძნელეების შესახებ

ვარშავა, 3 სექტემბერი (საკდესი). გუშინ კონფისკაცია უყვეს გაზეთ „ნოვა ჟეჩ პოსპოლიტას" ნომერს, სადაც დაბეჭდილია პარიზიდან მიღებული კორესპონდენცია გერმანიის სიძნელეთა შესახებ, რაც გამოწვეულია სამხედრო მანევრების უდიდესი მზადებით. ამ კორესპონდენციის თანახმად, გერმანელ მრეწველთა ჯგუფმა ჰიტლერის ყურადღება მიაქცია ჯერ ერთი, მანევრებზე გაწეულ უზომო ხარჯებს, რაც აიძულებს გერმანიის საიმპერიო ბანკს გამოუშვას დიდძალი ქაღალდის ფული ოქროს უზრუნველყოფის გარეშე; მეორე იმას, რომ არმიისათვის დანიშნული სურსათის მარაგი თითქმის ამოწურულია.

მანევრების რაიონებიდან მოდის ცნობები, რომ არმიისათვის პროდუქტების რეკვიზიციით აკლებული მოსახლეობა სასოწარკვეთილებაშია ჩავარდნილი. მრეწველებმა ჰიტლერს მიუთითეს აგრეთვე ქალაქის მოსახლეობის პანიკაზე. ომის საფრთხის გავლენით ქალაქთა მოსახლეობა გაფაციცებით აგროვებს მოხმარების საგნებს, იძენს ძვირფასეულობას, ინფლაციის შიშით ასაღებს ქაღალდის მარკებს და სხვ. გარდა ამისა, სწერს გაზეთი, სამხედრო წრეები დიდ შეშფოთებას იჩენენ საომარი მასალის დაბალი ხარისხისა, აგრეთვე მანევრების მიმდინარეობის გამო.

მარტო ბრანდენბურგის რაიონში, სწერს გაზეთი, ტანკების, ჯავშნიანი ავტომობილებისა და გამწევი საარტილერიო ტრაქტორების ერთი მესამედი გამოვიდა მწყობრიდან და ისინი უმთავრესად ცხენების დახმარებით უნდა მიეტანათ სარემონტო პარკებში. არაჩვეულებრივად ხშირია ავტომობილთა კატასტროფები. მათი მიზეზიც იგივეა: სუროგატული მასალისაგან გაკეთებულ მოტორთა უწესრიგო მუშაობა. აღმოსავლეთ პრუსიაში არტილერიის სავარჯიშო სროლის დროს ყუმბარების 10 პროცენტი არ აფეთქებულა, ან ნაადრევად აფეთქდა.

# ანტიფაშისტური მოძრაობა გერმანიაში

პრაღა, 3 სექტემბერი (საკდესი). როგორც ბერლინიდან იუწყებიან, უკანასკნელი დღეების ამბებმა უდიდესი შეშფოთება გამოიწვიეს გერმანიის მოსახლეობის უფართოეს ფენებში. ყველგან ტრამვაიზე, კაფეში, რესტორანში, ქუჩაში ომის საფრთხის შესახებ საუბრობენ, ამხკარავებენ ფაშისტთა გაზეთებისა და რადიოს ჭორებს ჩეხოსლოვაკიის მდგომარეობის შესახებ და სხვ.

ამ უკანასკნელ დღეებში ბერლინის სხვადასხვა რაიონებში გაჩნდა ომის საწინააღმდეგო პლაკატები, ფურცლები და წარწერები. ქარხნებსა და ფაბრიკებში გამოკიდებულია ბრძანებები ყველა ყოფილი ოფიცრისა და უნტეროფიცრის რეგისტრაციის შესახებ. მუშები ყოველდღე ღებულობენ უწყებებს სამობილიზაციო პუნქტებში გამოცხადების შესახებ. სამი დღის წინათ გამოქვეყნებული იყო განკარგულება 5 სექტემბრისთვის 1914—1918 წლების იმპერიალისტური ომის ყველა მონაწილის გაწვევის შესახებ.

პროპაგანდას ომის წინააღმდეგ ეწევიან უმთავრესად ძველი მუშები.

ამავე დროს იუწყებიან, რომ ბერლინის საწარმოთა მუშები განაგრძობენ ბრძოლას თავისი ეკონომიური მდგომარეობის გაუმჯობესებისათვის.

ერთერთ სამხედრო საწარმოში 52 მუშა ქალმა მოითხოვა ხელფასის გადიდება. მეორე მანქანათმშენებელ ქარხანაში 200 მუშამ მოითხოვა განთავისუფლება ან ხელფასის მომატება. მესამე საწარმოში ერთერთი განყოფილების მუშებმა ადმინისტრაციას მოსთხოვეს აგრეთვე ხელფასის მომატება ან განთავისუფლება. ორივე უკანასკნელ შემთხვევაში ადმინისტრაცია იძულებული გახდა დაეკმაყოფილებინა მუშათა მოთხოვნები.

# საომარი მოქმედება ჩინეთში

(საკდესის ხანკოუელ, შანხაელ და ლონდონელ კორესპონდენტთა ცნობების მიხედვით)

**ცენტრალურ ჩინეთში**

ჩინეთის ჯარმა, რომელმაც სასტიკად დაამარცხა იაპონელები მდინარე იანძის სამხრეთ ნაპირებზე ჟუჩანის რაიონში, დაიწყო სიმაგრეთა აგება. იაპონიის სარდლობა ნერვიულობის ნიშნებს იჩენს და კვლავ იყენებს მომწამლავ გაზებს.

მაგრამ არც გაზმა და არც იაპონელთა განმეორებულ შეტევებს არ შეუძლიათ გასტეხონ ჩინელთა წინააღმდეგობა. იაპონელთა ყველა შეტევა უკუგდებულია მათთვის დიდი ზარალის მიყენებით.

მდინარე იანძის ჩრდილოეთ ნაპირზე ჩინეთის ჯარმა იაპონელებს დატოვებინა ხუანმეს ირგვლივ [illegible]

[illegible] იაპონელები ცზუჯ-იდან (მინსიანის ჩრდილოეთით). იაპონიის რაზმი, რომელიც მინსიანში იმყოფება, მოწყვეტილია მისი ზურგის ერთეულებისაგან. ჩინეთის ჯარის მეორე რაზმმა დაიწყო შეტევა კაიფინზე, სადაც იმყოფება იაპონიის გარნიზონი 1500 კაცის შემადგენლობით. ორი დღის განმავლობაში აქ ორივე მხრიდან საარტილერიო სროლა სწარმოებდა.

ჩინეთის რეგულარულ ერთეულებს დიდ დახმარებას უწევენ პარტიზანები, რომელნიც იაპონელთა ზურგში მოქმედებენ. 31 აგვისტოს ლუნხაის რკინიგზის რაიონში მომქმედი დიდი პარტიზანული რაზმი შეიჭრა სუიჯოუში და იქ ამჟამად ბრძოლა ქუჩაში სწარმოებს.

შანსის პროვინციის სამხრეთ-ნაწილში ბრძოლები გრძელდება. გაზეთ „ვენვეიბაოს" ცნობით, უკანასკნელი ორი თვის განმავლობაში იაპონელებმა მოკლულთა და დაჭრილთა სახით 20 ათას კაცზე მეტი დაჰკარგეს.

# იაპონელთა ზარალი მდინარე იანძიზე

შანხაი, 3 სექტემბერი (საკდესი). გაზეთი „ჯუძიანჟიბაო" იუწყება, რომ მდინარე იანძიზე წარმოებული ბრძოლების დროს იაპონელებმა დაჰკარგეს დაახლოვებით 100 საკანონერო ნავი და კატარღა.

თავიანთი ფლოტილიის შესავსებად იაპონელები ამ უკანასკნელ ხანს საომარ მოქმედებათა რაიონში იანძიზე ჰგზავნიან ნაწილს თავიანთი სამხედრო გემებისას, რომლებიც გუანდუნის პროვინციის სანაპიროზე იმყოფებოდნენ. ამჟამად გუანდუნის სანაპიროზე დარჩა დაახლოვებით 17 საკანონერო ნავი და 40 შეიარაღებული კატარღა. იმავდროულად შემცირებულია სამხრეთ-ჩინეთის სანაპიროზე მოქმედ თვითმფრინავთა რიცხვი. გაზეთის სიტყვით, გუანდუნის სანაპიროზე დატოვებულ თვითმფრინავთა რაოდენობა 40 არ აღემატება.



ციხის-ძირი

ხედი ზღვაზე და სტალინის სახელობის თბილისის სახ. უნივერსიტეტის დასასვენებელ სახლზე. ფოტო-ეტიუდი სტოლიაროვისა („სოიუზფოტოს" საქ. განყ.)

# ხალხური შემოქმედების რაიონული ოლიმპიადები

20-დან 25 სექტემბრამდე თბილისში ჩატარდება ხალხური შემოქმედების რესპუბლიკური ოლიმპიადა. ამის გამო რაიონებში გაჩაღებულია დიდი მოსამზადებელი მუშაობა. იქ 8-დან 15 სექტემბრამდე მოწყობილი იქნება რაიონული ოლიმპიადები, რომლებზეც გამოვლინებული იქნებიან ხალხური შემოქმედების საუკეთესო ოსტატები, ხოლო ეს უკანასკნელნი შემდეგ მონაწილეობას მიიღებენ რესპუბლიკურ ოლიმპიადაში.

ქვემოთ ვაქვეყნებთ საკუთარი კორესპონდენტების წერილებს ადგილებზე ოლიმპიადისათვის მზადების მიმდინარეობის შესახებ.

## აჭარა

ხალხური სიმღერებისა და ცეკვის სრულიად-საქართველოს ოლიმპიადაში წელს მონაწილეობას მიიღებენ ქ. ბათუმის, ქობულეთის, ხულოს და ქედის რაიონების ხალხური თვითმოქმედი წრეები და ცალკეული შემსრულებლები.

ოლიმპიადის მოსამზადებელი მუშაობის ჩასატარებლად შექმნილია ცენტრალური კომისია აჭარის ასსრ სახკომსაბჭოსთან არსებული ხელოვნების საქმეთა სამმართველოს უფროსის ამხ. ვ. ნებიერიძის თავმჯდომარეობით. რესპუბლიკურ ოლიმპიადაზე გასაგზავნი კანდიდატების შესარჩევად გამოყოფილია ჟიური.

აჭარის რაიონებში ოლიმპიადები ჩატარდება 10 სექტემბრამდე.

რესპუბლიკური ოლიმპიადა შესდგება ბათუმში 15 სექტემბერს.

ქ. დოგორჯგინიძე.

## ფოთი

ფოთში ფართოდ გაიშალა მზადება ხალხური სიმღერების და ცეკვის რესპუბლიკური ოლიმპიადისათვის. საქალაქო ოლიმპიადის ჩამტარებელმა კომისიამ საწარმო-დაწესებულებებთან და კოლმეურნეობებთან არსებულ მომღერალთა გუნდებს მიამაგრა მუსიკის სპეციალისტები დახმარების გასაწევად.

ოლიმპიადისათვის გაცხოველებით ემზადება ქალაქის მომღერალთა გუნდი (ხელმძღვანელი—ი. კალანდია) და მეზღვაურთა კლუბთან არსებული ქართულ-უკრაინული სიმღერების ანსამბლი მიხ. ხავთასის ხელმძღვანელობით. ოლიმპიადისათვის ემზადებიან აგრეთვე ინდივიდუალური შემსრულებლები.

საქალაქო ოლიმპიადა დაიწყება 10 სექტემბერს.

ზ. მელიქია.

## ლაგოდეხი

10-დან 15 სექტემბრამდე ლაგოდეხის რაიონში ჩატარდება ხალხური სიმღერებისა და ცეკვის რაიონული ოლიმპიადა. ოლიმპიადის ჩასატარებლად გამოიყო კომისია ამხ. ა. რეხვიაშვილის, გ. კვანტალიანის, ბ. გორგაშვილის და პ. ნორაკიძის შემადგენლობით. კომისიამ ჩაატარა ოლიმპიადის მონაწილეთა აღრიცხვა.

მოსამზადებელი მუშაობა ფართოდ გაიშალა რაიონის კოლმეურნეობებში. ამოქმედდნენ საკოლმეურნეო კლუბებთან არსებული თვითმოქმედი წრეები და მომღერალთა გუნდები. ინდივიდუალურ მონაწილეთ დახმარებას უწევენ კლუბები და სკოლები. რაიონის მოსახლეობა დიდ ინტერესს იჩენს ხალხური ხელოვნების ოლიმპიადისადმი.

რ. არუთინოვა.

# განაჩენი შოფერების რ. პუტნისა და კ. ტოგონიძის საქმეზე

დამთავრდა შოფერების რ. პუტნისა და კ. ტოგონიძის საქმის განხილვა.

პროცესზე ბრალდებულმა პუტნმა სახელმწიფო ბრალმდებლის შეკითხვებზე მიამიტ-მოკიბული პასუხებით დაამტკიცა თავიდან აეცილებინა სასჯელი. ის ავარიის მოხდენას აბრალებდა საგუზაგოზე მდგომ მილიციელს და განსაკუთრებით შოფერ ტოგონიძეს. მაგრამ მოწმეების დაპირისპირებით და ყველაფრიდან დადასტურდა, რომ რ. პუტნმა ეორესის ქუჩაზე ძლიერი სისწრაფე განავითარა, ყურადღება არ მიაქცია მოძრაობის მაჩვენებელ სინათლეს და პირდაპირ გადაჰქრა ხაზი, რის შედეგადაც მოხდა ავარია. წაყენებულ ბრალდებაში ორივე ბრალდებულმა თავი სცნო დამნაშავედ.

საქართველოს უმაღლესმა სასამართლომ გამსვლელმა სესიამ ამხ. ი. პაპავას თავმჯდომარეობით ხულიგან შოფერს რ. პუტნის ქუჩაში მოძრაობის წესების უხეში დარღვევისათვის მიუსაჯა თავისუფლების აღკვეთა ათი წლის ვადით და სასჯელის მოხდის შემდეგ 3 წლით ჩამორთვა საარჩევნო უფლება. [illegible]

## ფეხბურთი

**შეჯიბრება „სსრკ თასზე"**

3 სექტემბერს ოდესაში ჩატარდა შეჯიბრება ფეხბურთში „სსრკ თასზე". თამაშობდნენ მოსკოვის „სპარტაკისა" და ოდესის „დინამოს" ოსტატ-ფეხბურთელთა გუნდები. მიუხედავად წვიმიანი ამინდისა, მატჩს დაესწრო 20 ათასი მაყურებელი. „სპარტაკელებმა" დიდი უპირატესობით ჩაატარეს თამაში და შეჯიბრება მოიგეს ანგარიშით 3:0.

ამრიგად მოსკოვის „სპარტაკი" გავიდა ნახევარფინალში.

## „კომუნისტის" რედაქციას

ჩვენს მიერ მოწოდებულ ინფორმაციაში, რომელიც მოთავსებულია „კომუნისტის" 4 სექტემბრის ნომერში სათაურით „კონკურსი საუკეთესო სიმღერაზე", ჩვენს მიერ დაშვებულია შეცდომა. სწერია: „კონკურსში მონაწილეობის მსურველთ ტექსტების მიღება შეუძლიათ 13 ოქტომბრიდან"... უნდა იყოს „13 სექტემბრიდან".

საქ. კომპოზიტორთა კავშირის საორგანიზაციო სექტორის გამგე გ. რაზმაძე

## პარტკალენდარი

**ლ. კეცხოველის სახელობის პარტგანათლების სახლში**

**5 სექტემბერს**

**აგიტაციის კაბინეტი** — კონსულტაცია თემაზე: ჩაპაევის გმირული საქმეები სამოქალაქო ომში (1918—1919 წ. წ.). კონსულტაცია ქართულსა და რუსულ ენებზე. რუსულ ენაზე კონსულტანტი ამხ. ფრუიძე. დასაწყისი საღამოს 8 საათზე.

O

საქ. კ. პ. (ბ) ც. კ-თან არსებული პარტკონტროლის კომისიის პარტკოლეგია საქართველოში წინადადებას აძლევს მოსე იოსების-ძე ბარამიძეს, კაპიტონ სარდიონის-ძე ჩიხლაძეს და ირაკლი ექვთიმეს-ძე გორგაძეს სამი დღის ვადაში გამოცხადდნენ პარტკოლეგიაში ამხ. ბილიხოძესთან (ძერჟინსკის ქ. № 8, მეორე სართული, ოთახი № 23).

O

5 სექტემბერს, საღამოს 7 საათზე, საქ. კ. პ. (ბ) თბილისის ორგანიზაციის ორჯონიკიძის რაიკომის პარტკაბინეტში შესდგება პროპსემინარის მორიგი მეცადინეობა. პროპაგანდისტთა დასწრება სავალდებულოა.

O

საქ. კ. პ. (ბ) მახარაძის რაიკომი აცხადებს, რომ 1936 წლის ნიმუშის პარტბილეთები: № 1517962, გაცემული ნატაშა გაბრიელის-ასულ წულაძის სახელზე, და პარტბილეთი № 1517570, გაცემული ვასო ქრისტეფორეს-ძე მეგრელიშვილის სახელზე, აგრეთვე 1936 წლის ნიმუშის საკანდიდატო ბარათები: № 0711591, გაცემული ვალერიან ლუკას-ძე შარაშიძის სახელზე, და საკანდიდატო ბარათი № 0711574, გაცემული ნინა სიმონის-ასულ ახვლედიანის სახელზე საქ. კ. პ. (ბ) მახარაძის რაიკომის მიერ, დაკარგულებია და ჩაითვალოს გაუქმებულად.

პასუხისმგებელი რედაქტორი ვ. ხატიაშვილი.

# ესპანეთის ფრონტებზე

(საკდესის მიერ პარიზიდან მიღებული ცნობების მიხედვით)

**აღმოსავლეთის ფრონტი**

2 სექტემბერს დილით რესპუბლიკელთა თვითმფრინავებმა ეფექტიანი საჰაერო თავდასხმა მოახდინეს მეამბოხეთა დაჯგუფებაზე ბოტის (განდესის სამხრეთით) სექტორში. ამას გარდა, რესპუბლიკელთა ავიაციამ ლერიდის სექტორში ყუმბარები და ტყვიამფრქვევები დაუშინა მოწინააღმდეგის სანგრებსა და საზურგო ავტომანქანებს, რომლებსაც ფაშისტთა ჯარის ერთეულები გადაჰყავდათ.

**ცენტრალური ფრონტი**

რესპუბლიკელებმა დაიკავეს ლას როსას-ელ ესკორიალის (მადრიდის ჩრდილოეთ-დასავლეთით) გზის გასწვრივ მდებარე მნიშვნელოვანი პოზიციები.

ფრონტის ესტრამადურის უბანზე პუენტე დელ არსობისპოს სექტორში რესპუბლიკის ჯარმა ენერგიული მოქმედებით უკუაგდო იერიშის მიმტანი მოწინააღმდეგე.

O

1 სექტემბერს 6 სამმოტორიანმა თვითმფრინავმა „იუნკერსმა" ყუმბარები დაუშინა ტარაგონის სხვადასხვა უბნებს. იმავე დღეს, საღამოთი, 5 იტალიური თვითმფრინავის „სავოიას" ესკადრილია თავს დაესხა ბარსელონას.

რესპუბლიკელთა საზენიტო ბატარიების გადამღობმა ცეცხლმა ფაშისტთა თვითმფრინავებს საშუალება არ მისცა ქალაქის ცენტრში შეჭრილიყვნენ და იძულებული გახდა ისინი ზღვის ნაპირების ახლოს შეჩერებულიყვნენ.

მეამბოხეთა თვითმფრინავების დასახვედრად ჟასულმა რესპუბლიკელთა ავიაგამანადგურებლებმა ერთი მათგანი ჩამოაგდეს, რომელიც ზღვაში ჩავარდა ნაპირიდან 4 კილომეტრის მანძილზე.

2 სექტემბერს დილით გერმანიის 5 „იუნკერსმა" მოახდინა ქალაქ სანტ ფელიუ დე გიხოლსის (ხერონის სამხრეთ-აღმოსავლეთით) ქალაქის მოსახლეობის ბარბაროსული ბომბარდირება და ჩამოჰყარა 50-მდე ყუმბარა, ბომბარდირებისაგან სრულიად დანგრეულია 25 სახლი. მოსახლეობას შორის არიან დაჭრილები.

# ჩაურევლობის კომიტეტში

პარიზი, 3 სექტემბერი (საკდესი). ესპანის სააგენტოს ლონდონელი კორესპონდენტი გვაცნობებს, რომ ლორდმა პლიმუტმა გუშინ ნაშუადღევს იმ სახელმწიფოთა ელჩებსა და საქმეების რწმუნებულთ, რომელნიც წარმოდგენილი არიან ჩაურევლობის კომიტეტში, გადასცა ნოტა, სადაც იგი წინადადებას იძლევა, რომ ჩაურევლობის კომიტეტის მდივანი ჰემინგი გაიგზავნოს ბარსელონასა და ბურგოსს იმ მიზნით, რათა გამორკვეულ და დაზუსტებულ იქნას ბარსელონისა და ბურგოსის პასუხი ინგლისის წინადადებებზე ესპანეთიდან უცხოელების გაწვევის შესახებ. იმავდროულად ლორდმა პლიმუტმა განაცხადა, ამჟამად საჭირო არ არის ჩაურევლობის კომიტეტის შეკრება.

უცხოელმა დიპლომატებმა განაცხადეს, რომ ისინი მათ მიღებულ დოკუმენტს დაუყოვნებლივ გადასცემენ თავიანთ მთავრობებს.

კორესპონდენტი დასძენს, რომ პლიმუტის წინადადებათა ფორმულირებანი გაკვირვებას იწვევენ. ლორდ პლიმუტის დოკუმენტი არ არჩევს ერთმანეთში ესპანეთის რესპუბლიკური მთავრობის პასუხსა და ფრანკოს პასუხს, რომელმაც ფაქტიურად უარჰყო ინგლისის გეგმა.


საქფილმეთის საზაფხულო თეატრი და ბაღი
პლეხანოვის პროსპ. № 123, ტელ. 3-18-50

5 და 6 სექტემბერს
ტალონები № 97 და 98
საესტრადო წარმოდგენა
მოსკოვის საკონცერტო გაერთიანების არტისტების შემადგენლობით
მიროვისა და დარსკის ხელმძღვანელობით.
დასაწყისი საღ. 9 ს. 30 წ.

ღია ესტრადა

5—6 სექტემბერს
ებრაული სიმღერის საღამოები
ანა გუზიკი
დაწვრილებით აფიშებში
დასაწყისი საღ. 10 ს.
ღია ესტრადაზე შესვლა ბაღის შესასვლელი ბილეთებით

ს ა ხ ო პ ე რ ა

გამოშვებულია ინდივიდუალური აბონემენტები
10 სერია, თითოში 15 ოპერა და ბალეტი 8 თვის გადახდით.
დაკვეთები მიიღება თეატრის სალაროში 12-დან 5 საათამდე, იქვე დაკვეთების ბლანკები.

20 სექტემბერს თავდება მუდმივ ადგილებზე ხელმოწერილების დადება
21 სექტემბერს დაიწყება მუდმივი ადგილების ბილეთების გაცემა. ბილეთებს მიიღებს, ვისაც შემოტანილი აქვს 2 გადასახდელი. 30 3—1

გრძელდება მიღება
თბილისის საფეიქრო ინდუსტრიულ ტექნიკუმში პირველ კურსზე, როგორც ქსოვაში, ისე დართვის სპეციალობაზე.
განცხადებების მიღება სწარმოებს ტექნიკუმის კანცელარიაში მთელი დღის განმავლობაში.
თბილისი, ბრძოლის ქ. № 108 ა, მაუდის ფაბრიკასთან.
246 დირექცია.

თბილისის კავშირგაბმულობის ელექტროტექნიკუმი
აცხადებს, რომ 1-ლ კურსზე მსმენელების მიღება
გაგრძელებულია 15 სექტემბრამდე.
განცხადებებისა და ცნობების მიღება შეიძლება ყოველდღე შემდეგი მისამართით: თბილისი, რუსთაველის, 43.
ტელეფონი № 3-23-04, 3-18-41.
1306 დირექცია.



თბილისის საბჭოს ადგილ. მრეწველობის განყოფილება.

**ლუდის ქარხანა № 1-ის დასკვნითი ბალანსი 1938 წ. 1 იანვრისათვის.**
(ათას მანეთებში)

| №№ რიგ. | აქტივი: მუხლების დასახელება | ჯამი | №№ რიგ. | პასივი: მუხლების დასახელება | ჯამი |
|---|---|---|---|---|---|
| 1 | ძირითადი საშუალებები | 466,1 | 1 | საწესდებო ფონდი | 1.011,4 |
| 2 | მასალები, ნედლეული და სათბობი | 423,3 | 2 | სხვა სპეციალური ფონდები | 0,2 |
| 3 | დაუმთავრებელი წარმოება | 210,6 | 3 | რეზერვები და მოსალოდნელი გადასახდელები | 8,9 |
| 4 | მზა ნაწარმი და საქონელი | 0,3 | 4 | მოკლევადიანი კრედიტები | 247,2 |
| 5 | ფულადი საშუალებები | 2,0 | 5 | ანგარიშსწორებანი | 220,5 |
| 6 | ანგარიშსწორებანი | 300,2 | 6 | დაგროვება საანგარიშო წლისა | 2,8 |
| 7 | მომავალი დროის ხარჯები | 4,3 | | | |
| 8 | შინაანგარიშსწორებანი | 84,2 | | | |
| | ბალანსი | 1491,0 | | ბალანსი | 1491,0 |

**დაგროვება-დანაკარგების ანგარიში 1937 წლისა (ათას მან.)**

1. სხვადასხვა დანაკარგები 145,2
2. წმინდა დაგროვება 2,8

ბალანსი 148,0

1. დაგროვება რეალიზაციით 122,9
2. სხვა დაგროვებანი 25,1

ბალანსი 148,0

დირექტორი ა. მახარაძე. მთ. ბუხჰალტერი იმნაძე.

ბალანსი და დაგროვება-დანაკარგების ანგარიში დამტკიცებულია თბილისის საბჭოს პრეზიდიუმის მიერ 1938 წლის 31 მაისს (ოქმი № 42) და ნებადართულია გამოსაქვეყნებლად.

თბილისის საბჭოს ადგილობრივი მრეწველობის განყოფილების ფინსექტორის გამგე — მთ. ბუხჰალტერი ჩიქოვანი.

1677

საქ. ადგილ. მრეწველ. სახ. კომისარიატი.

**ბეტონიტის წარმოება ბალანსი 1938 წ. 1-ლი იანვრისათვის**
(ათას მანეთებში)

| №№ რიგ. | აქტივი: მუხლების დასახელება | ჯამი | №№ რიგ. | პასივი: მუხლების დასახელება | ჯამი |
|---|---|---|---|---|---|
| 1 | ძირითადი საშუალებანი | 707 | 1 | საწესდებო ფონდი | 789 |
| 2 | მასალები, ნედლეული და სათბობი | 104 | 2 | მოკლევადიანი კრედიტები | 32 |
| 3 | მზანაწარმი და საქონელი | 100 | 3 | ანგარიშსწორებანი | 148 |
| 4 | ფულადი საშუალებანი | 1 | 4 | მოგება 1937 წლისა | 42 |
| 5 | ანგარიშსწორებანი | 48 | | | |
| 6 | მომავალი დროის ხარჯები | 19 | | | |
| 7 | განყენებული საშუალებანი | 32 | | | |
| | ბალანსი | 1.011 | | ბალანსი | 1.011 |

**ზარალ-მოგების ანგარიში 1937 წ. (ათას მან.).**

1. სხვადასხვა ზარალი 3
2. წმინდა მოგება 42

ბალანსი 45

1. მოგება გაყიდვისაგან 40
2. სხვა დაგროვებანი 5

ბალანსი 45

დირექტორი ლულუნაშვილი. უფრ. ბუხჰალტერი ნადირაძე.

ბალანსი და ზარალ-მოგების ანგარიში დამტკიცებულია საქ. ადგილმრეწველობის სახკომის მიერ და ნებადართულია გამოსაქვეყნებლად.

საქ. ადგილ. მრეწველობის სახ. კომისარიატის მთავარი ბუხჰალტერი ჯანელიძე.

1694



მისამართი: რედაქციის — თბილისი, რუსთაველის პროსპ. № 16, გამომცემლობის — რუსთაველის პროსპექტი № 34; ტელეფონები: სამდივნოსი 3—06—88, განყოფილებებისა: პარტიულის—3—57—61 სასოფლო-სამეურნეოს—3—73—40. მშრომელთა წერილების — 3—73—24; პ.-მგ. მორიგის 3—26—67; გამომცემლობის — 3—51—81; სტამბის დირექტორის—3—27—04. ხელნაწერები ავტორებს არ უბრუნდებათ.

ამხ. ს. თოდრიას სახ. სტამბა „კომუნისტი". თბილისი, კამოს ქ. № 68.

მთავლიტის რწმუნებული ბ—1458